2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული

განვითარების პროგრამის

განხორციელების კონსოლიდირებული 2018-2021

წლების მონიტორინგის ანგარიში

რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტი
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

2022

სარჩევი

შესავალი 3
ნაწილი I. 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2018-2021 წლებში შესრულების მოკლე მიმოხილვა 6
ნაწილი II: პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის ანალიზი 11
პრიორიტეტი 1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 11
ღონისძიება 1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება 11
ღონისძიება 1.2. სხვა (საავტომობილო გზების გარდა) სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება 12
ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება 14
ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება 15
ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 17
ღონისძიება 1.6. წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება 18
ღონისძიება 1.7. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია 21
ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია 22
პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის მხარდაჭერა 24
ღონისძიება 2.1. საწარმოების, მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა24
ღონისძიება 2.2. ინოვაციების ხელშეწყობა 26
ღონისძიება 2.3. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი 30
ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა 33
ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა 39
ღონისძიება 2.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა 40
პრიორიტეტი 3: ადამიანური კაპიტალის განვითარება 42
ღონისძიება 3.1. ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება 42
ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა 44
ღონისძიება 3.6. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა 50
ღონისძიება 3.7. სოციალური ინკლუზია 53
პრიორიტეტი 4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე 57
ღონისძიება 4.1. რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება 57
ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება 62
ნაწილი III: მიღწეული შედეგების ანალიზი 64
ნაწილი IV: ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები 70

დიაგრამები და გრაფიკები

დიაგრამა 1. რგპ-ს დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან 2018-2021 წლებში 6
გრაფიკი 1. რგპ-ს შესრულება 2018-2021 წლებში, მლნ ლარში 7
გრაფიკი 2. რგპ-ს შესრულება პრიორიტეტების მიხედვით, 2018-2021 წლებში, მლნ ლარში 7
გრაფიკი 3. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტები 9
გრაფიკი 4. რგპ-ს ხარჯების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2018-2021 წლებში, მლნ ლარში 9
გრაფიკი 5. რგპ 2018-2021 რეგიონული ხარჯვის ანალიზი ერთ სულ მოსახლეზე, მლნ ლარში 10

შესავალი

2018 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა“ (რგპ). პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც 2018-2021 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს.

2018-2021 წლების პროგრამა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს იმ საჯარო და კერძო ინვესტიციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონულ განვითარებას. რგპ ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს, მოახდინოს რესურსების კონცენტრირება და კოორდინაცია რეგიონულ დონეზე ერთიანი, საერთო სტრატეგიის მიხედვით, რათა მიღწეულ იქნას ინტერვენციის მაქსიმალური ეფექტიანობა.

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა ასახავს ღონისძიებებს, რომელთაც მკაფიო ტერიტორიული გავლენა ექნებათ რეგიონულ განვითარებაზე. რგპ განსაზღვრავს ღონისძიებების დაფინანსების, როგორც საბიუჯეტო, ასევე ბიუჯეტის გარეთ (მაგ. საერთაშორისო დონორებისა და განვითარების პარტნიორების მიერ დაფინანსებით) მიღებული რესურსების წყაროებს.

პროგრამის **საერთო მიზანია,** ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რეგიონული უთანასწორობის შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას. საერთო მიზანი მიიღწევა **3 კონკრეტული მიზნის მიღწევით:**

1. **სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა** საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების გზით;
2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური სერვისების **მდგრადი განვითარება**, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით;
3. **სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა** - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის.

ამ მიზნების განხორციელებისათვის, 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა იყენებს სტრუქტურას, რომელიც ეფუძნება **5 პრიორიტეტს.** ესენია:

1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
2. მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა;
3. ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;
4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;

5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

აღნიშნული პრიორიტეტები მოიცავენ **ინტეგრირებულ ტერიტორიულ საინვესტიციო ღონისძიებებს,** რომლებიც მიმართულნი უნდა იყვნენ, ერთის მხრივ, სხვადასხვა ტერიტორიების განსხვავებული საჭიროებების ეფექტიანი დაკმაყოფილებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ტერიტორიების სპეციფიური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისაკენ. ეს მიღწეულ უნდა იყოს რეგიონული განვითარების პროგრამების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებენ როგორც სხვადასხვა სექტორებს, ისე სხვადასხვა ტერიტორიების არსებულ რესურსებსა და ძალისხმევას.

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) განხორციელების მონიტორინგის კონსოლიდირებული ანგარიში მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული და მთის განვითარების დეპარტამენტის მიერ, შესაბამისი დეპარტამენტების, დარგობრივი სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2018-**2021 წლების** რგპ-ის მონიტორინგის კონსოლიდირებული ანგარიში მოიცავს ინფორმაციას აღნიშნულ პერიოდში პროგრამის ფარგლებში ღონისძიებების განხორციელების პროგრესისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

მონიტორინგის ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: პირველ ნაწილში წარმოდგენილია 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2018-2021 წლებში შესრულების მოკლე მიმოხილვა; მეორე ნაწილში - პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის დეტალური ანალიზი;, ხოლო მესამე ნაწილში - მიღწეული შედეგების ანალიზი. მეოთხე ნაწილში დოკუმენტი წარმოადგენს ინფორმაციას გამოვლენილ ხარვეზებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პროგრამირების პირველ ფაზასთან (2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან) შედარებით, 2018-2021 წლების პროგრამაში წარმოდგენილია ახალი ღონისძიებები და განმახორციელებელი უწყებები. ასევე, 2018-2021 წლების რგპ-ის მთლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 4 ჯერ აღემატება წინა პროგრამისას.

COVID-19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

2020 წელს დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ უპრეცედენტო მასშტაბის გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რაც, უპირველესად, საერთაშორისო მიმოსვლისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობების შემცირებაში გამოიხატა. პანდემიის ფონზე შექმნილი ვითარება მცირე ეკონომიკის მქონე, ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყნებისათვის, მ.შ. საქართველოსთვის, განსაკუთრებით კრიტიკული აღმოჩნდა.

COVID-19-ის პანდემიის საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენა 2020 წლის თებერვლიდან დაიწყო. მარტში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საზღვრების ჩაკეტვის შედეგად, 2020-2021 წლებში, საქართველოში უცხოელი ვიზიტორების შემოსვლა და ტურიზმიდან მისაღები შემოსავლები ფაქტობრივად შეჩერდა. შედეგად, თუ 2019 წელს, გარე ტურიზმის წილი მშპ-ში 12 % იყო, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 2 %-მდე შემცირდა და მშპ-ს

მაჩვენებელმა 6.8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, საქართველოში იმატა უცხოელ ტურისტთა ნაკადმა (13.7%-ით მეტი, წინა წელთან შედარებით), განხორციელდა რა 1 721 242 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი. მთლიანობაში, 2021 წელს რეალური მშპ 10.4 პროცენტით გაიზარდა. პანდემიამ შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მეღვინეობის დარგზე, ვინაიდან ჩავარდა ტურისტული სეზონი, რასაც მოჰყვა მოხმარების შემცირება.

ნაწილი I. 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2018-2021 წლებში შესრულების მოკლე მიმოხილვა

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის (რგპ) მთლიანი სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 18.766 მილიარდ ლარს - წლიურად საშუალოდ დაახლებით 4.5 მილიარდ ლარს, რაც თითქმის 4-ჯერ აღემატებოდა წინა პროგრამის (რგპ 2015-2017) ბიუჯეტს.

2018-2021 წლებში, პროგრამით განხორციელებული საქმიანობების შედეგად, პანდემიით შექმნილი შეფერხებების მიუხედავად, რეგიონული განვითარების პროგრამის შესრულებამ 18.892 მლრდ ლარი (101 %) შეადგინა.

რგპ-ის დაფინანსების წყაროები იყო:

- საქართველოს 2018-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი;
- დაფინანსება დონორების მხრიდან;
    - სექტორული საბიუჯეტო დახმარება, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში (შესაბამისად, აღნიშნული დახმარება ასახული იყო საბიუჯეტო ასიგნებებში). ამ სახსრებს განკარგავდა საქართველოს ხელისუფლება;
    - დონორული დაფინანსება, გარდა იმ დახმარებებისა, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში (მაგალითად, ტექნიკური დახმარება). ეს სახსრები შეიძლება მართული იყოს თავად დონორების, ან მათი კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ;
- რეგიონული განვითარების პროგრამის მხარდასაჭერად ბენეფიციართა მიერ გაღებული თანადაფინანსება.

დიაგრამა 1. რგპ-ის დაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან 2018-2021 წლებში



2018 წელს რეგიონული განვითარების პროგრამაზე სულ დაახლოებით 3.596 მლრდ ლარი გამოიყო (საიდანაც 3.168 მლრდ ლარი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა), 2019 წელს დაფინანსება გაიზარდა 791 მლნ ლარით, გამოიყო რა 4.387 მლრდ ლარი. პროგრამის შესრულებამ კი, შესაბამისად, 2018-2019 წლებში 3.378 მლრდ ლარი (94%) და 3.883 მლრდ ლარი (88%) შეადგინა. 2020 წელს რგპ-ის ფარგლებში გამოყოფილ იქნა

ყველაზე მეტი თანხა - დაახლოებით 5.253 მლრდ ლარი, პროგრამის შესრულება კი საკმაოდ მაღალი - 4.751 მლრდ ლარი იყო (90 %), პანდემიის ფონზე. 2021 წელს რეგიონული განვითარების პროგრამაზე სულ დაახლოებით 5.53 მლრდ ლარი იყო გამოყოფილი, პროგრამა კი გადაჭარბებით იქნა შესრულებული - გაწეულმა ხარჯებმა დაახლოებით 6.880 მლრდ ლარი შეადგინა (124 %).

გრაფიკი 1. რგპ-ის შესრულება 2018-2021 წლებში, მლნ ლარში



2018-2021 წლებში გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა რეგიონული განვითარების პროგრამის შესრულება, პრიორიტეტების მიხედვით, თუმც COVID-19-ის პანდემიამ თავისი ზეგავლენა იქონია საქმიანობების ეფექტურად წარმართვაზე.

გრაფიკი 2. რგპ-ის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით, 2018-2021 წლებში, მლნ ლარში



კერძოდ, 2018 წელს, პროგრამის **პირველ პრიორიტეტზე** - „ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ დახარჯულ იქნა 1.447 მლრდ ლარი (94% შესრულება), 2019-ში კი - 1.505 მლრდ ლარი (87%). 2020-2021 წლებში გადაჭარბებით იქნა ათვისებული პროგრამის პირველ პრიორიტეტზე დაგეგმილი თანხები, მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი ამ პრიორიტეტზე გაწეული ხარჯები, წინა წლებთან შედარებით, პანდემიიდან გამომდინარე. შეზღუდვების მიუხედავად, ქვეყანაში არ გაჩერებულა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. პროგრამის ამ პრიორიტეტზე სულ 2020 წელს დაიხარჯა 3

მლრდ ლარზე მეტი, 2021 წელს კი - 4 მლრდ ლარზე მეტი. მათგან პირველ შემთხვევაში - 2020 წელს, E60 და E70 საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების და სხვა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების განვითარებაზე გაწეულმა ხარჯებმა 1.6 მლრდ ლარი შეადგინა, 2021 წელს კი - 839, 691 მლნ ლარი, ხოლო საავტომობილო გზების გარდა, სხვა სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, შესაბამისად, დაიხარჯა 767 მლნ ლარი და 2 მლრდ ლარი, რაც ბევრად მეტია, წინა წლებთან შედარებით, მიუხედავად პანდემიის შედეგად შემოღებული რეგულაციებისა.

პროგრამის **მე-2 პრიორიტეტის** ფარგლებში, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის მხარდაჭერის ამოცანების განხორციელებაზე, 2018 წელს 189 მლნ ლარი იქნა გამოყოფილი - ათვისებული კი - 173 მლნ ლარი (93 % შესრულება), ხოლო 2019 წელს, გამოყოფილი 201 მლნ ლარიდან - 193 მლნ ლარი ათვისებული (96% შესრულება). 2020 წელს, მეორე პრიორიტეტზე გაწეული ხარჯები აღემატებოდა პროგრამის წინა წლების ხარჯებს და შეადგინა 275 მლნ ლარი, რაც სამიზნე მაჩვენებლის 97% იყო. პანდემიამ ნეგატიურად იმოქმედა პრიორიტეტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, გაუქმდა ის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ხალხმრავალ შეხვედრებთან და საზღვარგარეთ მოგზაურობებთან, ზოგიერთი ღონისძიება კი ონლაინ ფორმატში იქნა გადატანილი. პანდემიის გამო ვერ განხორციელდა 2021 წელს პროექტი "Ckeck-in Georgia"-ს ღონისძიება. საბოლოო ჯამში, 2021 წელს ამ პრიორიტეტზე გაწეულმა ხარჯებმა 140 მლნ ლარი შეადგინა, რაც სამიზნე მაჩვენებლის 83 %-ია.

2018-2019 წლებში, ყველაზე დიდი მოცულობის დაფინანსება (2018 წელს - 1.578 მლრდ ლარი, 2019-ში - 2 მლრდ ლარი) იყო გამოყოფილი **მესამე პრიორიტეტზე** - „ადამიანური კაპიტალის განვითარება“. პროგრამის შესრულებამ კი შესაბამისად, 2018-ში - 1.5 მლრდ ლარი, 2019-ში კი - 1.8 მლრდ ლარი შეადგინა. 2020 წელს მე-3 პრიორიტეტის ფარგლებში დაიხარჯა დაახლოებით ერთი მილიარდი ლარი (სამიზნე მაჩვენებლის 78%). პანდემიის შედეგად 2021 წელს რგპ-ის მე-3 პრიორიტეტის განხორციელების ხარჯები გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შესაბამისად, დაიხარჯა დაახლოებით ორი მილიარდი ლარი, რაც სამიზნე მაჩვენებლის (1.5 მლრდ ლარი) 127%-ია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულება პანდემიის შედეგად შემოღებული რეგულაციებიდან გამომდინარე დაზარალდა ყველაზე მეტად - ტრენინგების უმეტესობა გადატანილი იყო ონლაინ რეჟიმზე, ზოგიერთი ღონისძიება საერთოდ გაუქმდა, თუმცა გაგრძელდა საგანმანათლებლო სისტემაში ინფრასტრუქტურული სამუშაოები. პანდემიის ფონზე, 2021 წელს, გაიზარდა მიზნობრივი სოციალური დახმარებით დაფარული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი მთლიან მოსახლეობასთან მიმართებაში, რომელმაც 17 % შეადგინა, ნაცვლად დაგეგმილი 12 %-სა.

რგპ-ის **მე-4 პრიორიტეტის** - „ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე“ - შესრულებაზე გაწეულმა ხარჯებმა 2018 წელს 279 მლნ ლარი შეადგინა (93% შესრულება), 2019-ში - 424 მლნ ლარი (95% შესრულება), 2020 წელს - 451 მლნ ლარი (119 %). 2020-2021 წლებში, პანდემიის მიუხედავად, წინა წლებთან შედარებით, უფრო მეტი პროექტი (2020 წელს - 1059; 2021 წელს კი - 912) განხორციელდა, გაზრდილი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 684 მლნ ლარამდე, 2021 წელს - მიღწეული 181 %-იანი შესრულებით. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში განხორციელებული

ინფრასტრუქტურული პროექტების (მცირე ინფრასტრუქტურული და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პროექტების ჩათვლით) დაფინანსება გაიზარდა ყველა რეგიონში.

გრაფიკი 3. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განხორციელებული პროექტები



რეგიონების ჭრილში, 2018-2021 წლებში, რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ყველაზე დიდი ხარჯები გაწეული იყო იმერეთზე, რაც დაკავშირებულია მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან, კერძოდ, E60-70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობასთან. იმერეთის შემდეგ, გაწეული ხარჯის მხრივ, 2021-ში ლიდერობდა კახეთი; 2020-ში - შიდა ქართლი; 2019-ში - მცხეთა მთიანეთი; 2018-ში - სამეგრელო-ზემო-სვანეთი.

გრაფიკი 4. რგპ-ის ხარჯების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2018-2021 წლებში, მლნ ლარში



საერთო ჯამში, მთლიანი დახარჯული თანხის 98%-ის რეგიონული ჩაშლა მოხერხდა. 2018-2021 წლებში თანხების უდიდესი წილი - 5.240 მლრდ ლარი (28%) იმერეთის რეგიონს მოხმარდა, რაც შეიძლება აიხსნას საერთაშორისო საავტომობილო ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობით. იმერეთის შემდეგ რგპ-ს ფარგლებში გაწული ხარჯებით კახეთი (2.8 მლრდ ლარი), შიდა ქართლი (2 მლრდ ლარი), აჭარა (1.84 მლრდ ლარი) და სამეგრელო-ზემო-სვანეთი (1.67 მლრდ ლარი) გამოირჩეოდა. გურიაში, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში დანახარჯი დაახლოებით ერთნაირად იქნა გაწეული - 1.1 მლრდ ლარის ფარლებში. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთზე ყველაზე ცოტა ხარჯი იქნა გაწეული (606 და 946 მლნ ლარი, შესაბამისად).

გრაფიკი 5. რგპ 2018-2021 რეგიონული ხარჯვის ანალიზი ერთ სულ მოსახლეზე, მლნ ლარში



2018-2021 წლების განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე გაწეული რეგიონული ხარჯვის ანალიზის მიხედვით, 100 ათას ადამიანამდე მოსახლეობის მქონე რეგიონებში - რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში, მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში. ამ რეგიონებში რგპ-ის ხარჯის უდიდესი წილი მოდის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციაზე (პირველი ორის შემთხვევაში), გურიაში კი - გზის მშენებლობაზე. აღსანიშნავია, რომ სამივე რეგიონში მაღალმთიანი მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის დასახლებებია.

პრიორიტეტების, ღონისძიებებისა და ქვე-ღონისძიებების მიხედვით განხორციელებული სამუშაოების მიღწეული მყისიერი შედეგებისა და გაწეული ხარჯების დეტალური აღწერა მოყვანილია ამ ანგარიშის მეორე ნაწილში.

ნაწილი II: პრიორიტეტებით გათვალისწინებული ღონისძიების მიხედვით მიღწეული პროგრესის ანალიზი

პრიორიტეტი 1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ღონისძიება 1.1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის მთავარ გამოწვევას ქვეყნის საგზაო სექტორის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება წარმოადგენს და ამ მიმართულებით სამუშაოები 2021 წელს აქტიურად მიმდინარეობდა - ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 135 პროექტზე და მიმდინარე 180 პროექტიდან სამუშაოები დასრულდა 117 პროექტზე. საგზაო სექტორში, ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტების ფარგლებში, 2021 წელს სამშენებლო აქტივობა მიმდინარეობდა სულ 250,3 კმ-ზე, ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში, 23 საგზაო მონაკვეთზე.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის ფარგლებში, 2021 წელს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის ათვისებულმა თანხამ შეადგინა 417.9 მლნ ლარი - რეაბილიტაცია და პერიოდული შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 512.8 კმ საავტომობილო გზას, 19 ხიდს, ასევე აშენდა 28 ახალი საავტომობილო ხიდი. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, 2021 წელს, გეგმისამებრ, რეაბილიტირებულ იქნა 118 კმ საავტომობილო გზა და აშენდა 12 ხიდი.

საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებასთან ერთად, აქტუალური ხდება მათი შემდგომი მოვლა-შენახვის ღონისძიებები. რეაბილიტირებული თუ ახალაშენებული გზების სრულფასოვანი ექსპლუატაცია და მათი სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზეა დამოკიდებული. 2021 წელს საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 87,9 მლნ ლარი დაიხარჯა. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საგზაო მონაკვეთებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრის, გზისპირა კლდეებიდან ქვათაცვენის კერების გაწმენდისა და პრევენციის, ასევე, ზამთრის პერიოდში გზებზე თოვლწმენდისა და განვლადობის უზრუნველყოფის სამუშაოები. მიმდინარე შეკეთების (მათ შორის ზამთრის შენახვის) სამუშაოები ტარდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6000კმ-მდე საავტომობილო გზაზე, ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე	კმ	518	630.8

რეაბილიტირებული და აშენებული ხიდების რაოდენობა	რაოდენობა	47	59

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.1.1 E60 და E70 საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორების და სხვა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების განვითარება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოდერნიზაციით	25 02 03	527,000.00	839,691.20	159
1.1.2. არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელების რეაბილიტაცია	25 02 02 01; 08; 09; 10; 11; 12; 15; 16; 17; 18; 20; 25 03 03; 04; 05	440,000.00	417,912.9	95
1.1.3 ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია	25 02 02 19	445,838.68	445,838.00	100%

ღონისძიება 1.2. სხვა (საავტომობილო გზების გარდა) სტრატეგიული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

2021 წელს, „თბილისი - მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო ხაზის ზესტაფონი - ხარაგაული; მოლითი-ქვიშხეთის მოდერნიზაციის პროექტის“ ფარგლებში, სს ,,საქართველოს რკინიგზის'' ფინანსური სახსრებით დაიხარჯა 23,280,000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 874,717 ლარი დაიხარჯა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ქონების გამოსყიდვაზე, ხოლო 22,405,283 ლარი - სამშენებლო სამუშაოებსა და ტექნიკურ ზედამხედველობაზე. 2021 წლის საანგარიშო პერიოდში დამუშავდა მრავალი პროექტი. სს ,,საქართველოს რკინიგზის '' კონტრაქტორმა კომპანიამ შპს ,,ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო'' წარმატებით შეასრულა ხელოვნური ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილის მშენებლობა ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთზე (სარკინიგზო ხიდების ბურჯების, მალის ნაშენების, შემაკავებელი კედლების, წყალგამტარი არხების, სამთო არხების და სხვა). მატარებელთა მოძრაობისათვის გაიხსნა მე-X სარკინიგზო გვირაბი. პრაქტიკულად დასრულებულია სადგურ ძირულას შენობისა და VII, VIII, IX, XII გვირაბების მშენებლობის პროცესი, მიმდინარეობს მათი მომზადება მიღება-ჩაბარებისთვის. დაიწყო მოლითის სადგურის რეკონსტრუქციის, ხოლო სადგურ ქვიშხეთის და ქვიშხეთის ქვესადგურის მშენებლობის სამუშაოები. მატარებელთა მოძრაობა გადართულია დროებით ლიანდაგებზე, მიმდინარეობს მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა. 2021 წლის განმავლობაში, აშენებული რკინიგზის სიგრძე დაახლოებით 15 კმ-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს, დასრულებულია კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაახლოებით 95%-მდე.

აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, 2021 წლის 18 აპრილს, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის ახალმა ნაწილმა მიიღო ავიაკომპანია „ვიზეარი"-ს რეისი. ტერმინალი 9 ივნისამდე დროებით, „გადაერთების" რეჟიმში მუშაობდა, როდესაც ოფიციალურად გაიხსნა გაფართოებული და განახლებული ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. აეროპორტის გამტარუნარიანობა დაგეგმილის შესაბამისად, 4-ჯერ გაიზარდა და წელიწადში მინიმუმ 2,500,000 მგზავრის მომსახურებას შეძლებს. ტერმინალის ფართობი 4,800 კვ.მ.-დან 30,000 კვ.მ.-მდე გაიზარდა, ხოლო გასასვლელი კარებების რაოდენობა - 3-დან 7-მდე, სარეგისტრაციო დახლები - 10-დან 18-მდე, ბარგის მიღების ლენტების რაოდენობა კი - 2-დან 3-მდე. მიუხედავად პანდემიური მდგომარეობისა, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება-მ" დაასრულა ქუთაისის აეროპორტის გაფართოების პროექტი დაგეგმილი და გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა იმერეთის რეგიონში. 2021 წელს, ტერმინალის გაფართოების პროექტის ფარგლებში, დაიხარჯა 19,575,000 ლარი.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მოდერნიზებული/ გაფართოებული და აშენებული რკინიგზის სიგრძე	კმ	15	15
შეძენილი ახალი ვაგონების რაოდენობა	რაოდენობა	100	100
მოდერნიზებული/აშენებული სადგურებისა და დეპოების რაოდენობა	რაოდენობა	4	4
გაფართოებული აეროპორტის ტერმინალები	მ2	30,000	30,000

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.2.1. თბილისი - მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო ხაზის ზესტაფონი - ხარაგაული; მოლითი-ქვიშხეთის მოდერნიზაციის პროექტი (მ.შ. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სადგურებისა და დეპოების ოპტიმიზაცია,	N/A	23,280.00	23,280	100

სატვირთო და სამგზავრო მატარებლების ოპტიმიზაცია და ახალი მატარებლების შეძენა)				
1.2.3. აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა	24 06 06	1,957,500.00	1,957,500.00	100%

ღონისძიება 1.3. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარება

სსიპ - „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ ახორციელებს პროგრამას „ინტერნეტი განვითარებისთვის“, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. 2018-2021 წლებში, აღნიშნული პროგრამის (BfD) ფარგლებში, მაღალმთიან დასახლებებში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის განხორციელდა ინტერნეტში ჩართვის საფასურის ანაზღაურება, ვაუჩერის (150 ლარიანი) გადაცემის საშუალებით. ჯამში, შინამეურნეობებზე 1380 ვაუჩერი დაფინანსდა, აქედან საანგარიშო პერიოდში, ვაუჩერი გადაეცა 25 შინამეურნეობას.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**2021 წელი**	
		სამიზნე ღირებულება	**შედეგი**
შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს „ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმა“ და მისგან გამომდინარე, ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხელშემწყობი რეგულაციები, საკანონმდებლო ცვლილებები	რაოდენობა	საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება, მათ შორის, ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხელშემწყობი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება	საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აშენდა ინფრასტრუქტურა ოზურგეთში და დაიწყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ცვლილება შევიდა 1 საკანონმდებლო აქტში და მომზადდა 1 საკანონმდებლო აქტის პროექტი
შინამეურნეობების რაოდენობა, რომელთაც ინტერნეტის მონტაჟის ვაუჩერი მიიღეს	რაოდენობა	25	25

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.3.1. ინტერნეტი განვითარებისთვის - ციფრული წიგნიერების ტრენინგის ჩატარება საქართველოს რეგიონებში	24 12	14,606.00	14,606.00	100

ღონისძიება 1.4. ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N363 და 29 აპრილის N682 განკარგულებებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N791 განკარგულებაში, რის საფუძველზეც შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ს დაევალა რიგი სოფლების გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, 2021 წლის 28 სექტემბრის N1716 განკარგულებით, ცვლილება შევიდა გაზიფიცირების გეგმაში, რაც ითვალისწინებდა 2021 წლის განმავლობაში დამატებით 33 დასახლებული პუნქტის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულებას, მათი სამშენებლო სამუშაოები 2022 წლისთვის დაიგეგმა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზის მომარაგების ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა და ასევე, კომპანიის საკუთარმა სახსრებმა ჯამურად შეადგინა 39 570 ათასი ლარი. 2021 წელს დასრულდა 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები და 69 დასახლებულ პუნქტში 13 881 აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. ასევე, დაიწყო სამუშაოები 2021 წლის გეგმის შესრულების მიზნით. რეგიონების გაზიფიცირების პროგრამა 2009 წელს დაიწყო. 2021 წლის ბოლოსათვის პროგრამის ფარგლებში ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელზე წვდომა აქვს 466 771 პოტენციურ აბონენტს. საანგარიშო პერიოდში, გაზიფიცირების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობდა საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიების ყველა რეგიონში, მათ შორის:

ცხრილი 1. გაზიფიცირების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით, 2021 წელს

რეგიონი	აბონენტების სავარაუდო რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება (ლარი)	გაზსადენების სიგრძე (გრძივი მეტრი)
აჭარა	3 435	9 384 493	280 835
გურია	650	643 145	24 307
იმერეთი	2 080	4 517 476	137 607
კახეთი	111	692 609	19 164
მცხეთა-მთიანეთი	444	1 263 648	46 774
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სხვანეთი	1 310	3 910 452	109 825
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 559	2 997 344	111 055
სამცხე-ჯავახეთი	1 609	3 065 556	104 098

რეგიონი	აბონენტების სავარაუდო რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება (ლარი)	გაზსადენების სიგრძე (გრძივი მეტრი)
ქვემო ქართლი	2 295	11 500 365	127 855
შიდა ქართლი	388	930 089	33 884

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტით (EIB, EU) გათვალისწინებული სამუშაოები ძირითადად დასრულდა 2021 წელს, თუმცა დაფიქსირდა რიგი ტექნიკური შეფერხებები, კონტრაქტორების ტექნიკური მოცდენები, რაც გამოსწორებულია და პროექტის ვადებზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია. დარჩენილი სამუშაოების დასრულება იგეგმება 2022 წლის განმავლობაში, ჰესისა და კაშხლის საექსპლუატაციო რეჟიმის დაცვის პარალელურად. პროექტი ხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ სამუშაოებზე ჯამურად გახარჯულმა თანხამ 60 882 000 ლარი შეადგინა. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის გამართული მუშაობის გრძელვადიანი შედეგის მისაღწევად უნდა განხორციელდეს დაგეგმილი 500/110 კვ ქვესადგურის მოწყობა სტეფანწმინდის ტერიტორიაზე და ხაზის გადაყვანა 500 კვ-ზე, რის შედეგადაც ხაზის გამტარუნარიანობა მიაღწევს 1100 მგვტ-მდე, რაც შექმნის საქართველოს, რუსეთის, სომხეთის და ირანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ ენერგეტიკულ მაგისტრალს და ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის სტაბილურობას.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
დამონტაჟებული ახალი გაზსადენის სიგრძე	კმ	988,410	995,404
გაზის ქსელზე მიერთებული დამატებითი მომხმარებლების რაოდენობა	რაოდენობა	27,560	13,881
ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებიც იღებენ გაზის მოხმარების სუბსიდიებს	რაოდენობა	7,378	8,000
აშენებული ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე	კმ	56	25

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.4.1. მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	24 15	40,250.00	39,570.00	98

1.4.2. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)	24 13 01	32,000.00	60,882.00	190
1.4.3. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება: მათ შორის	24 14	16,800.00	32,137.00	191
1.4.3.1. "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (ADB, IBRD, WB)	24 14 01 01	7,200.00	24,741.00	344
1.4.3.2. ჯვარი-ხორგა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB)	24 14 02 02	3,800.00	5,634.00	148
1.4.3.3. ქსანი-სტეფანწმინდის გადამცემი ხაზის მშენებლობა (EBRD, EC, KfW, WB)	24 14 02 01	5,800.00	1,762.00	30

ღონისძიება 1.5. ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, 2021 წელს ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობდა 28, ხოლო სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები-19 ობიექტზე. აქედან, სამუშაოები შესაბამისად, დასრულდა 10 და 4 ობიექტზე. ნაპირდაცვითი ღონისძიებების სამუშაოებისათვის ათვისებულმა თანხამ შეადგინა 6,9 მლნ ლარი, სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ კი 42,2 მლნ ლარი.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
დაცული სანაპირო ზოლის სიგრძე; ნაპირსამაგრი სამუშაოების რაოდენობა	რაოდენობა	28	10
ბუნებრივი კატასტროფებისგან დასაცავად აშენებული და მოწყობილი ნაგებობების რაოდენობა (გარდა მონიტორინგის სადგურებისა); სტიქიური მოვლენებისა და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები (გარდა მონიტორინგის სადგურებისა)	რაოდენობა	19	4
შექმნილი ჰიდრომეტეოროლოგიური, რადარული და აეროლოგიური სადგურების რაოდენობა	რაოდენობა	N/A	1

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.5.1. ზღვის და მდინარეების სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები	25 02 02 07. მგფ 25 03 02	20,000.00	6,950.10	35%
1.5.2. ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობა	25 02 02 05	8,000.00	42,234.10	528%
1.5.3. ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების მონიტორინგისთვის სტანდარტული და სპეციალიზებული ქსელის გაფართოება / შექმნა, მათ შორის: ა) ამინდის პირობების მონიტორინგის მიზნით რადარების ქსელის განვითარება; ბ) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემების შეგროვებისა და გავრცელებისათვის სატელეკომუნიკაციო სისტემის გაუმჯობესება	31 13	10,350.00	33,874.00	327

ღონისძიება 1.6. წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება

2021 წელს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, 14 პროექტზე გაფორმდა ხელშეკრულება , რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 10 678 376,21 ლარს. ზემოაღნიშნული 14 პროექტიდან 2021 წელს დასრულდა 6 პროექტი, რომელთა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 3 301 186,08 ლარს. კახეთის რეგიონში 2021 წელს დასრულდა 2 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 1 306 583,00 ლარი); იმერეთის რეგიონში დასრულდა 2 პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 1 073 339,00 ლარი); სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დასრულდა ერთი პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 350 000,00 ლარი); მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დასრულდა ერთი პროექტი (ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 571 264,08 ლარი).

საანგარიშო პერიოდში „საკანალიზაციო სისტემის მდგრადი მართვის პროექტი“-ს (SWMP, SIDA) ფარგლებში მიმდინარეობდა 2016 წელს დაწყებული პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში კანალიზაციის და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ქვეპროექტების დაფინანსება განხორციელდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA), მსოფლიო ბანკის (WB), და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის

საკუთარი სახსრებიდან. პროექტების ფარგლებში ჩატარდა ქ. თელავში და ქ. წყალტუბოში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები, შეთანხმებული გეგმით. ამასთან, რიგ პროექტში ადგილი ჰქონდა სამუშაოთა შესრულების ვადების შეცვლას კონტრაქტორი კომპანიების ფინანსური და სხვა სახის პრობლემების გამო. ორივე ობიექტზე ძირითადი სამუშაოები დასრულდა და მიმდინარეობს დეფექტების აღმოფხვრა. აქტიურადაა ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის სფეროში 2021 წელს საბიუჯეტო სახსრებით განხორციელდა ნაგავსაყრელების საექსპლუატაციო, სარემონტო და დახურვის სამუშაოები. 2021 წელს მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქ. ქუთაისის, ქ. ხაშურის, ქ. სამტრედიის, ქ. თელავის, ქ. ნინოწმინდას, ქ. გორის, ქ. ასპინძის, ქ. ახალციხის, ქ. ჩოხატაურის, ქ. ზუგდიდის და ქ. ბოლნისის ნაგავსაყრელებს და დაიხურა ქ. დმანისის ნაგავსაყრელი. დაწყებულ იქნა ქ. ამბროლაურის, ქ. ონის და ქ. ცაგერის ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის სამუშაოები. არსებული ნაგავსაყრელების დახურვით, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობით და მუნიციპალური ნარჩენების შედარებით დიდ ნაგავსაყრელებზე გადამისამართებით, მიიღწევა ნარჩენების ნაკადების ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია, რითაც შემსუბუქდება გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება. ასევე დადებითად აისახება გარემოზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნაგავსაყრელების კეთილმოწყობა–გაუმჯობესება. კეთილმოწყობილი ნაგავსაყრელები შემოღობილია, რაც ხელს უშლის ტერიტორიებზე ცხოველების და ადამიანების შეღწევას. ნაგავსაყრელები რეგულარულად იფარება მიწის საიზოლაციო ფენით, რაც აღკვეთს ნარჩენების გაფანტვას და მკვეთრად ამცირებს ხანძრების და უსიამოვნო სუნის ალბათობას.

საერთაშორისო პროექტები:

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KFW) - ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისის მიმდებარედ ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მოწყობა, ქუთაისის მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი 6 სადგურის მოწყობა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებელ კონსორციუმთან (SADE-RIKO) გაფორმდა „შუალედური შეთანხმება“. საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შეირჩა ახალი განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანია (CDM Smith) და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. დასრულდა არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) ასაშენებელი ტერიტორიის შერჩევის პროცედურები. განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის მიერ (CDM SMITH) მიმდინარეობდა შერჩეული ტერიტორიის სკოპინგის ანგარიშის მომზადება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ფლორისა და ფაუნის შეფასების კვლევა. ასევე, მიმდინარეობდა ობიექტის კონცეპტუალური დიზაინის მომზადება, საინფორმაციო სისტემის (MIS) შემუშავება და მისი დანერგვის პროცედურა. არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს. გარდა ამისა, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებელ კონსორციუმთან (SADE-RIKO) 2021 წლის 29 მარტს გაფორმდა „შუალედური შეთანხმება“, რომლის თანახმადაც, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას დაუბრუნდა ავანსის სახით წინაწარ გაცემული თანხის აუთვისებელი ნაწილი. საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეულ ახალ განმახორციელებელ

საკონსულტაციო კომპანიასთან (CDM Smith) გაფორმდა ხელშეკრულება და დაიწყო საპროექტო სამუშაოების განხორციელება. 2021 წელს საკონსულტაციო კომპანიას 112 253,00 ევრო აუნაზღაურდა პროექტის ფარგლებში შექმნილი სპეციალური საბანკო ანგარიშიდან, სადაც განთავსებულია მშენებელ-კონსორციუმის (SADE-RIKO) მიერ დაბრუნებული აუთვისებელი ავანსის თანხა.

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) – გულისხმობს მყარი ნარჩენების მართვის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ინტეგრირებული სისტემის განვითარების ხელშეწყობას ქვემო ქართლის რეგიონში. პროექტის მიზანია ქვემო ქართლის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება აღნიშნული რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი) და მოხდება მათი აღჭურვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II შერჩეულ რეგიონებში (კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი) (KfW) – ითვალისწინებს ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტებისა და (ნაგავსაყრელების) ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობას, რეგიონებში არსებული ძველი ნაგავსაყრელების დახურვას, მუნიციპალიტეტების აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას, კახეთის რეგიონში კომპოსტირების საწარმოს მოწყობას და ნარჩენების გადამუშავების საპილოტე პროექტის განხორციელებას. 2021 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კახეთის რეგიონში ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობისათვის ადგილმდებარეობის შერჩევის პროცედურები და შესაბამისი საბოლოო ანგარიშის მომზადება. ადგილმდებარეობის შერჩევის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა რიგი შეხვედრები და კონსულტაციები. გამოცხადდა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტებისთვის ნარჩენების შეგროვებისა და დასუფთავებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ტენდერი. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) დეტალური დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის მომზადება. გამოცხადდა 2 არსებული ნაგავსაყრელის დახურვის, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტისა და 3 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობის ტენდერი. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის ბოლოს. ხოლო, კახეთის ობიექტის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს. პროექტის ფარგლებში 2021 წელს განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის (FICHTNER) ანაზღაურებაზე გრანტის სახსრებიდან დაიხარჯა 1,3 მილიონი ლარი, ხოლო შესაბამისი დღგ-ს თანხის ანაზღაურებისთვის, საბიუჯეტო სახსრებიდან დაიხარჯა 0,3 მლნ ლარი.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
განხორციელებული წყალმომარაგების პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	16	7
განხორციელებული წყალარინების პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	1	1
წყალმომარაგების სისტემებზე მიერთებული აბონენტების რაოდენობა	რაოდენობა	N/A	368066
დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა	რაოდენობა	1	1
აშენებული ახალი ნაგავსაყრელების რაოდენობა	რაოდენობა	0	0

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.6.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია და განვითარება, მათ შორის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	25 04 04; 06; 08; 05;MDF02; 03	26,000.00	26,000.00	66,677.00
1.6.2. მყარი ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება (ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისისი ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა).	25 05, 56 13 03	76,830.00	29,306.89	38.15

ღონისძიება 1.7. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2021 წელს ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიღწეულ იქნა დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლის შეფასების ინდიკატორი 70-მდე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშზე. მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებული ძეგლი, განხორციელებული ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია რეგიონების ჭრილში ასეთი იყო:

- გურიის რეგიონში - 1 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- იმერეთის რეგიონში - 4 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- კახეთის რეგიონში - 9 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;

- მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - 4 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში - 2 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - 23 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 9 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- ქვემო ქართლის რეგიონში -10 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში;
- შიდა ქართლის რეგიონში - 6 კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**2021 წელი**	
		სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**
კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე: მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებული ძეგლი, განხორციელებული ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია	რაოდენობა	70	70

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2021 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**
1.7.1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის გაუმჯობესება	33 04	13,302.00	11,064.70	83.18

ღონისძიება 1.8. ბუნებრივი მემკვიდრეობის (ეროვნული პარკები, ნაკრძალები და სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიები) შენარჩუნება და პოპულარიზაცია

2021 წელს, საანგარიშო პერიოდში, სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისად:

- ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 3 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო ჯამში 126 კმ სიგრძის 8 ბილიკი: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები (2 ბილიკი, ჯამში 17 კმ); ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები (8 კმ); ალგეთის ეროვნული პარკი (5 ბილიკი, ჯამში 101 კმ);
- ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და უსაფრთხოების მიზნით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აშენდა 12 ხიდი, ხოლო 2 დაცულ ტერიტორიაზე (ბორჯომ-ხარაგაულისა და ალგეთის ეროვნულ პარკებში) აშენდა 2 ტურისტული თავშესაფარი;
- ვიზიტორთა ცენტრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და ვიზიტორთა ცნობიერების გაზრდის მიზნით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრში მოეწყო საგამოფენო დარბაზი;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა და განახლდა სათაფლიას აღკვეთილის ინფრასრუქტურა, განახლდა მღვიმის და საფეხმავლო ბილიკების განათების სისტემა, მღვიმეში დამონტაჟდა გახმოვანების სისტემა;

- ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, აშენდა ვიზიტორთა ცენტრი ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკში;
- დაცული ტერიტორიების შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით, 3 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 35 ერთეული ხერგილი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში - 10 ერთეული ხერგილი, მაჭახელას ეროვნულ პარკში - 3 ერთეული ხერგილი, ხოლო ერუშეთის ეროვნულ აპრკში 22 ერთეული ხერგილი და შეძენილ იქნა 200 -ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით, დამტკიცდა კინტრიშის და ჯავახეთის დაცული ტერიტორიის მართვის 2 გეგმა.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
განახლებული და განვითარებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა (შენობები, ეკოტურისტული ბილიკები, ვიზიტორთა ცენტრები)	რაოდენობა	8 ბილიკი, 12 ხიდი, 2 ტურისტული თავშესაფარი; 1 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა; 1 საგამოფენო დარბაზი; 1 ვიზიტორთა ცენტრი; 35 ხერგილი; 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	8 ბილიკი; 12 ხიდი; 2 ტურისტული თავშესაფარი; 1 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, 1 საგამოფენო დარბაზი; 1 ვიზიტორთა ცენტრი; 35 ხერგილი; 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი
დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების რაოდენობა (ახალი ან განახლებული)	რაოდენობა	2	2

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
1.8.1. ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებები	31 01 06	455.00	449.31	98.75
1.8.2. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემების ჩამოყალიბება და მართვა	31 09-31 09 01-11-09-04	30,204.40	27,350.15	90.55

პრიორიტეტი 2: მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის მხარდაჭერა

ღონისძიება 2.1. საწარმოების, მათ შორის, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა

2021 წლის განმავლობაში, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, განხორციელდა ჯამში 145 საწარმოს მხარდაჭერის პროექტი (თბილისის გარდა), მიზნობრიობით გაფართოება და ახალი სესხი. ინდუსტრიული მიმართულების (წარმოება) პროექტების ფარგლებში, ჯამში განხორციელდა 300 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია. პროგრამის მეშვეობით კომერციული ბანკების მიერ, მოხდა 245 მლნ ლარზე მეტი კომერციული სესხის დამტკიცება. აღნიშნული ბენეფიციარები დამატებით შექმნიან 5 200-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს. საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში, თბილისის გარდა, დახმარება გაეწია 159 საწარმოს. აღნიშნულ პროექტებზე ჯამურად დამტკიცებული სესხის მოცულობა შეადგენს 135 მლნ ლარზე მეტს, ხოლო, დასაქმებულთა რაოდენობა - 2 156 ახალ სამუშაო ადგილს. პროგრამების ფარგლებში, დახმარება გაეწია საქართველოს ყველა რეგიონში არსებულ საწარმოს (ჯამურად 37 100 000 ლარი), ყველაზე დიდი მოცულობით - სამეგრელო-ზემო სვანეთს, 9.5 მლნ ლარზე მეტი მოცულობით.

2021 წელს გაგრძელდა 2020 წლის ახალი ეტაპის განხორციელება და ჯამში საქართველოს მასშტაბით დაფინანსდა 689 პროექტი. 2020 წლის ეტაპი ხორციელდებოდა განახლებული პირობებით. კერძოდ კი, გაფართოვდა ბიზნესის ოპერირების ლოკაციები (მოიცვა მთელი ქვეყნის ტერიტორია). საგრანტო თანხების მაქსიმალური მოცულობა გაიზარდა 20-დან 30 ათას ლარამდე. შემცირდა პროგრამის ახალი ბენეფიციარებისთვის თანამონაწილეობის წილი 20%-დან 10%-მდე, ხოლო არსებული ბენეფიციარებისთვის 50%-დან 25%-მდე. ასევე, განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებულ პროექტებს მიენიჭა პრიორიტეტი, და პროგრამა, ამ ეტაპისთვის 300-ზე მეტი საქმიანობის მიმართულების დაფინანსებას მოიცავს. პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია საქართველოს ყველა რეგიონში არსებულ საწარმოებს, ყველაზე დიდი მოცულობით - იმერეთში, 2 მლნ ლარზე მეტი მოცულობით.

2021 წელს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ტექნიკური დახმარების (TA) კომპონენტით, რეგიონში მდებარე ოთხმა საწარმომ ისარგებლა, ჯამში 37 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკური დახმარებით. ზემოხსენებული საწარმოები მდებარეობს: კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში. ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტი ტრენინგების ხარჯის ანაზღაურებას გულისხმობს, რაც მნიშვნელოვანია კომპანიების ადამიანური რესურსის განვითარებისთვის. პროგრამის შესრულება მომართვიანობაზეა დამოკიდებული. COVID-19-ის პანდემიის გამო, 2021 წელს დაფიქსირდა დაბალი მომართვიანობა, შედეგად დაფიქსირდა ფაქტობრივი შესრულების დაბალი მაჩვენებელი.

კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის - „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში, 2021 წელს გაფორმდა 5 ხელშეკრულება 14 მლნ ლარის კვალიფიციური ხარჯის მოცულობის პროექტებზე. თანხა ანაზღაურდა ერთ პროექტზე 130 ათასი ლარის მოცულობით. 2021 წლის პირველ ნახევარში პროგრამა შეჩერებული იყო რედიზაინის მიზნით.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე ღირებულება	შედეგი
მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ბიზნეს პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	140	304
მოდერნიზებული საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)	რაოდენობა	40	84
ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა (რეგიონების მიხედვით)	რაოდენობა	30	61

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.1.1. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა პროცენტის თანადაფინანსებით და საბანკო სესხებისთვის გარანტიის უზრუნველყოფით	24 07 02	16,500.00	37,100.00 აქედან 21,700.00 - საკრედიტო საგარანტიო სქემა	224.85
2.1.2. მიკრო და მცირე საწარმოებისათვის მცირე გრანტების უზრუნველყოფა საწარმოო და მოწინავე სერვისების განვითარებისათვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვაზე, ასევე ბიზნეს საქმიანობის განხორციელებისათვის საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა	24 07 02	10,500.00	14,300.00	136.19
2.1.3. მცირე და საშუალო ბიზნესის ადამიანური რესურსების განვითარება (ტრენინგ პროგრამები მფლობელთათვის, მენეჯერებისა და მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლებისთვის)	24 07 02	200.00	37.00	18.50
2.1.4. კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა	24 07 02	3,000.00	130.00	4.33

ღონისძიება 2.2. ინოვაციების ხელშეწყობა

2021 წელს, გამოყენებითი მეცნიერებისა და გამოგონებების კომერციალიზაციის მიზნით, მათ შორის კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციების წახალისების მიზნით, ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის საგრანტო დაფინანსებისა და მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, ხორციელდებოდა პროექტი „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP)", რომლის ფარგლებშიც, კომერციალიზაციისთვის შეირჩა 9 პროექტი. აღნიშნული 9 პროექტის ტექნოლოგიაზე მიმდინარეობდა და დღემდე გრძელდება მოლაპარაკების პროცესი როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დაინტერესებულ ინდუსტრიულ პარტნიორებთან. 1500-ზე მეტ კომპანიას გაეგზავნა შეთავაზება. პოტენციურ ინდუსტრიულ პარტნიორებს შორის განიხილებიან ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიცაა: IRT M2P, VERKOR, FUNDEPAG, NAVAL GROUP და სხვა. პოტენციურ ინდუსტრიულ პარტნიორებთან სიღრმისეული მოლაპარაკებების უზრუნველსაყოფად გაფორმდა „კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ" შეთანხმებები (NDA) და რამდენიმე მათგანთან, ასევე, „განზრახულობის თაობაზე" შეთანხმებები" (LOI), რამაც ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამაში მონაწილე პროექტებისთვის კიდევ უფრო მკაფიო გახადა კომერციალიზაციის შესაძლო გზები. რამდენიმე პროექტის ტექნოლოგიისთვის განხორციელდა შესაბამისი სამიზნე ქვეყნების (მაგ. ბრაზილიის) ბაზრის კვლევა და შესწავლა. რიგ პროექტებზე, პოტენციურ ინდუსტრიულ პარტნიორთან ერთად მიმდინარეობდა ტექნოლოგიების ერთობლივი ტესტირების პროცესი და პოზიტიური შედეგებიდან გამომდინარე, რამდენიმე მათგანზე გამოიკვეთა კონკრეტული შეთავაზებები და შედგა მოლაპარაკება. გარდა ამისა, პროგრამაში მონაწილე პროექტებისთვის განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით არსებული საჭიროებები და განხორციელდა საპატენტო განაცხადების (ევროპული, ბრაზილიის და სხვა) შეტანა შესაბამისი ქვეყნის საპატენტო დაწესებულებებში. აგრეთვე, ინდუსტრიულ პარტნიორებთან კომერციალიზაციის ეტაპზე მოლაპარაკებების წარმართვის სამართლებრივი ნაწილის უზრუნველსაყოფად (მათ შორის, შესაბამისი ხელშეკრულებების შემუშავებისა და რედაქტირებისთვის) განხორციელდა შესაბამისი იურიდიული მომსახურების შესყიდვა. სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით, სტარტაპ ბიუროსთან, ბიზნეს სექტორთან და სააგენტოს ბენეფიციარ წარმატებულ სტარტაპებთან პარტნიორობით განხორციელდა ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი, მათ შორის, ციფრული თამაშების შექმნის საერთაშორისო გეიმჯემი, აგრო მიმართულებით არსებული საერთაშორისო ჰაკათონი - Agro-Challenge, Vinoთონი, NASA Space app სხვადასხვა სახის ქომუნითი შეხვედრები (Fuckup nights Tbilisi/Batumi Product Tank Techstars week) და ვებინარები სააგენტოს ბენეფიციარ წარმატებულ სტარტაპებთან, რომლის მთავარი მიზანიც ქვეყნის ფარგლებში მცხოვრები ახალგაზრდა კოდერების, ვებდეველოპერებისა და სტარტაპერების მხარდაჭერა, ინოვაციების სტიმულირება და ტექნოლოგიების დონის გაზრდა იყო. ღონისძიებების დიდი ნაწილი საერთაშორისო გახლდათ. შედეგად, მსოფლიოს 118 ქვეყანას საქართველოც შეურთდა, ხოლო ჯამში 2021 წელს 50-ზე მეტი ღონისძიება განხორციელდა, რომლებსაც 2500-ზე მეტი ბენეფიციარი დაესწრო, და მიიღო ღირებული ცოდნა, არსებული მიმართულებების გარშემო. 2021 წლის თებერვალში, სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააააგენტოს მიერ, ციფრული ინდუსტრიის აკადემიასთან ერთად განხორციელებული სოცილური მედია მენეჯმენტის და ქოფირაითინგის კურსის ბენეფიციარებისთვის, გაიმართა დემო დღე, სადაც წარმატებულ მონაწილეებს მიეცათ საკუთარი პროექტების ონლაინ აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის

საშუალება. წარმატებული კურსდამთავრებულები დაჯილდოვდნენ სერთიფიკატებით, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ბენეფიციარებმა, სრულიად საქართველოს მასშტაბით, მოახერხეს პროფესიული უნარების გაუმჯობესება, რაც დაეხმარება მათ ამ მიმართულებით დასაქმებაში. 2021 წლის 18 მარტს, სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პარტნიორობით, იდეათონი - "დაამზადე მომხმარებლისთვის, შეფუთე დედამიწისთვის" ჩატარდა. პროექტი განხორციელდა USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP), შესაფუთი მასალების მწარმოებელთა (PMAG) და საქართველოს ნარჩენების მართვის (GWMA) ასოციაციებთან პარტნიორობით, კომპანია "ფორსეტის" ორგანიზებით. მეორე ტურში შერჩეული იდეების ავტორებმა გაიარეს ორკვირიანი აქსელერაციის პროგრამა, სადაც, მენტორების დახმარებით, იმუშავეს იდეის ბიზნესმოდელის დახვეწასა და განვითარებაზე. აქსელერაციის დასასრულს, ისინი წარდგნენ ჟიურის წინაშე. საპრიზო ფონდი 60 000 ლარი იყო. საყურადღებოა, რომ გამარჯვებულმა გუნდებმა მიიღეს არა თანხა, არამედ, ამ თანხის ფარგლებში მოთხოვნილი სერვისი ან მომსახურება, რაც ბიზნესის დაწყების ან განვითარებისთვის სჭირდებოდათ. 2021 წლის ივნისიდან, აგვისტოს ჩათვლით, KIU-სთან თანამშრომლობით, სააგენტომ განახორციელა ინოვაციების საზაფხულო სკოლა, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის (TA/PA), რომლებიც დაინტერესებული გახლდნენ ინოვაციებით. სტუდენტებმა მიიღეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სტარტაპ ეკოსისტემის აქტიური წევრებისგან, სტარტაპების დამფუძნებლებისგან და ეკოსისტემის სხვა პროფესიონალებისგან. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების ჩართვას საქართველოს სტარტაპ საზოგადოებაში და ეკოსისტემის აქტიური როლის ათვისებაში. პროექტი განხორციელდა 50-მდე ბენეფიციარზე. Vault Academy-სთან თანამშრომლობით, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიცირებითა და ორგანიზებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში (#სრიგპ), ოთხ საპილოტე რეგიონში, პარალელურ რეჟიმში, წარმატებით განხორციელდა პრე-აქსელერაციის პროგრამა. ინტენსიური ტრენინგები, მენტორინგ შეხვედრები და ვორკშოპები 5 სხვადასხვა ლოკაციაზე, ლაივ რეჟიმში წარიმართა: ოზურგეთში (24 მონაწილე), თელავსა და გურჯაანში (ჯამში 39 მონაწილე), ქუთაისში (20-მდე ბენეფიციარი) და ამბროლაურში (25 ბენეფიციარი). საერთო ჯამში, მონაწილეებისთვის ჩატარდა 10 პარალელური ტრენინგ შეხვედრა, დამატებით, ვორკშოპები და მენტორინგ სესიები ფინალური პრეზენტაციებისთვის მოსამზადებლად, ხოლო საერთო ჯამში 110-მდე მონაწილემ შეძლო კურსის სრულად და წარმატებით გავლა. აქსელერაციის პროგრამა რეგიონებში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ახალგაზრდებისთვის დარგის სპეციალისტების მხრიდან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას გულისხმობდა ისეთი თემების გარშემო, როგორებიცაა: იდეების გენერირება, Product Marketing, MVP, Canvas BM, Pitch deck -ის მომზადება, მონეტარიზაციის გეგმის შედგენა და ა.შ. პარტნიორი პროვაიდერები შეირჩნენ გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მიხედვით, ხოლო პროექტის ფარგლებში აქსელერაციის 4 კვირიანი ინტენსიური კურსი საქართველოს ოთხ საპილოტე რეგიონში (კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი, გურია) მცხოვრებმა 120-მდე ახალგაზრდამ გაიარა. პროექტის მთავარი მიზანი იყო, სტარტაპზე მუშაობით დაინტერესებული ახალგაზრდების აღმოჩენა, მათზე მსოფლიოში ამ მიმართულებით არსებული ტრენდების გაცნობა და პირველი ნაბიჯების გადადგმაში დახმარება, საკუთარი იდეების განსახორციელებლად, რაც თავის მხრივ, აუცილებელია რეგიონული სტარტაპების შექმნის ხელშეწყობისათვის.

საანგარიშო პერიოდში აღიჭურვა ოზურგეთის ტექნოპარკი მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, მათ შორის, 3D და ლაზერული პრინტერებით, CNC როუტერით, ელექტრონიკის და რობოტიკის კომპლექტებით, რომელთა მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებს, თუ ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება ეძლევათ გამოიყენონ აქამდე რთულად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა, როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით.

ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, ეფექტურად მუშაობდა მცირე საგრანტო პროგრამა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციების დანერგვას, ტესტირებას ან გაუმჯობესებას მათი შემდგომი კომერციალიზაციისთვის; ინოვაციებით და ტექნოლოგიებით დაინტერესებული სუბიექტების საერთაშორისო ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ეკოსისტემაში ინტეგრაციას და მათი კომერციული პოტენციალის გაზრდას; ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას; ადგილობრივი ინოვაციური და/ან ტექნოლოგიური პოტენციალისა და ეკოსისტემის გაძლიერებას. მცირე საგრანტო პროგრამა ხორციელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2021 წელს 31 ბენეფიციარი (ყველა თბილისიდან) დაფინანსდა. ფაქტიურმა ხარჯმა კი ჯამში 400 000 ლარი შეადინა. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სამიზნე მაჩვენებელი უფრო ნაკლები იყო, თუმცა სტარტაპების მხრიდან მაღალი აქტივობიდან გამომდინარე, მცირე გრანტის წლიური ბიუჯეტი გაიზარდა და დაფინანსდა 5-ით მეტი პროექტი. კოვიდით გამოწვეული შეზღუდვებისა და სხვა ფაქტორების გამო, მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, სამგზავრო გრანტების მიმართულება შეჩერებული იყო. პროტოტიპირების გრანტის ბიუჯეტი შეადგენდა 15000 ლარს, რაც დადებითად მოქმედებს სტარტაპების ხარისხზე, ვინაიდან უფრო მაღალი ბიუჯეტით (2020 წლამდე პროტოტიპის გრანტის ბიუჯეტი 5000 ლარს შეადგენდა) უკეთესი პროტოტიპების დამზადებაა შესაძლებელი.

2021 წლის ივნისიდან-სექტემბრის თვის ჩათვლით, დისტანციურად, რეგიონალური ცენტრების ჩართულობით, განხორციელდა სსიპ - ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ჯეოლაბის ერთობლივი კურსი GITA&Jeolab Junior - მე-8 - მე-12 კლასელი სკოლის მოსწავლეებისთვის, საქართველოს 9 რეგიონში არსებულ ინოვაციურ ცენტრებსა და ჰაბებში: ბათუმი, კასპი, რუხი, ზუგდიდი, თელავი, ახმეტა, ლანჩხუთი, გურჯაანი, ამბროლაური. პროგრამის ფარგლებში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ესწავლათ პროგრამირების საწყისები Front end development HTML, CSS. ხშირად განათლების პროცესში მოხალისეობრივად ჩართული სტუდენტები აგრძელებენ სწავლების მიმართულებით განვითარებას და ყალიბდებიან პროფესიონალ ტრენერებად. რეგიონების შემთხვევაში ეს შესაძლებლობას გვაძლევს, გავზარდოთ ადგილობრივი ტრენერები ტექნოლოგიების მიმართულებით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 9 პარალელური ონლაინ კურსი, შესაბამისად 9 ადმინისტრაციულ ერთეულში, და გადამზადდა 200-მდე ბენეფიციარი დისტანციურად (კურსზე - 20-მდე ბენეფიციარი), მთელი საქართველოს მასშტაბით. ჯამში აღნიშნულ ღონისძიებაზე დაიხარჯა 275 000 ლარი. პანდემიური ვითარების ფონზე, საქართველოში არსებული ტექნოპარკები და ინოვაციის ცენტრები დაიტვირთა ინტეგრირებული დისტანციური აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებული იყო საქართველოს მოქალაქეთა შორის ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ინტერესის ზრდაზე, სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებასა და ამ სფეროში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს პროექტს GENIE, რომელიც დაიწყო 2016 წელს, რომლის მთავარი მიზანია, საქართველოში ფირმებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდა და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. პროექტი 4 ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა, ხელშემწყობი სერვისების უზრუნველყოფა, ინოვაციების დაფინანსება, პროექტის განხორციელებისათვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა. ზემოხსენებული პროექტი ფარავას მთელ საქართველოს. პროექტის ფარგლებში 2021 წელს დახარჯულმა თანხამ შეადგინა 10,966 690 ლარი.

ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, გაიხსნა ოზურგეთის ტექნოპარკი. პროექტზე დახარჯულმა ბიუჯეტმა შეადგინა 653 080 ლარი.

ინოვაციების სერვისების განვითარების ნაწილი მოიცავს ICT ტრენინგებს და „სტარტაპ აქსელერაციას“ 500 Startup-თან ერთად. 2021 წელს საპილოტე პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 574 სტუდენტი, რომელთაგანაც 536 გავიდა სასერთიფიკატო გამოცდაზე (როგორებიცაა Google. Microsoft, Oracle და ა.შ.), წარმატებით ჩააბარა და საერთაშორისო სერთიფიკატი კი მოიპოვა 371-მა სტუდენტმა. რაც შეეხება „სტარტაპ აქსელერაციას“ 500 startup-თან ერთად, 2020-2021 წლებში თითო ნაკადში პირველ ეტაპზე შეირჩა 15-15 სტარტაპი, საიდანაც ინტენსიური სწავლება გაიარა ჯამში 10-მა სტარტაპმა და შეირჩა 2-2-გამარჯვებული სტარტაპი. 2021 წლის აგვისტოში დასრულდა პროექტ GENIE-ს ფარგლებში, ხელმოწერილი კონტრაქტი სან-ფრანცისკოს „500 Startups“-ის წარმომადგენლობასთან და ბოლო ეტაპზე, გაიმართა ორივე ნაკადიდან გამარჯვებულებისთვის „Demo-day“ და ინვესტორებთან შეხვედრა აშშ-ში. აქტივობა განხორციელდა საქრთველოს მასშტაბით და ბიუჯეტმა შეადგინა 2 056 370 ლარი.

ქვეყანაში ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შექმნის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება-ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს, 100 000 ლარიან გრანტებზე, ფაქტობრივად გაცემული იყო - 40 სტარტაპისთვის წილობრივი გრანტი, 650 000 ლარიან გრანტებზე კი დაფინანსება გაიცა 11 პროექტზე. პროგრამა მოიცავს მთელ საქართველოს (ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება). ძირითადი ბენეფიციარები არიან თბილისიდან. ღონისძიებაზე დახარჯულმა ჯამურმა ბიუჯეტმა 8 257 240 ლარი შეადგინა.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე ინდიკატორი	შედეგი
განვითარებული ინოვაციების ინფრასტრუქტურა; შექმნილი/აღჭურვილი რეგიონული ინოვაციების ჰაბები და ინოვაციის ცენტრების რაოდენობა	რაოდენობა	1	1
მხარდაჭერილი საწარმოების/ სტარტაპების რაოდენობა	რაოდენობა	76	82
ორგანიზებული ტრენინგებისა და ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	250	299

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.2.1. საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა	24 08 02	2,500.00	2,500.00	100.00
2.2.1.1. ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება	24 08 02	1,825.00	1,825.00	100.00
2.2.1.2. ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფა (მათ შორის მიკრო-გრანტების პროგრამის განხორციელება)	24 08 02	400.00	400.00	100.00
2.2.1.3. საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება	24 08 02	275.00	275.00	100.00
2.2.2. საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	24 12	10,966.69	10,966.69	100.00
2.2.2.1. ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა; მიზანშეწონილობის კვლევის შედეგად შერჩეულ საქართველოს მუნიციპალიტეტებში (თავდაპირველად 8 საპილოტე მუნიციპალიტეტი. პროექტის დასასრულისთვის რიცხვმა უნდა მიაღწიოს 12 მუნიციპალიტეტს) რეგიონული ინოვაციების ჰაბებისა და/ან ინოვაციების ცენტრების რემონტი, აღჭურვა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	24 12	653.08	653.08	100.00
2.2.2.2. ინოვაციების სერვისების განვითარება	24 12	2,056.37	2,056.37	100.00
2.2.2.3. ინოვაციების თანადაფინანსება, მ.შ. სტარტაპების საგრანტო თანადაფინანსება, არსებული საწარმოების ინოვაციური საქმიანობის თანადაფინანსება, ინოვაციების დაფინანსების სხვადასხვა სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.	24 12	8,257.24	8,257.24	100.00

ღონისძიება 2.3 სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი

საანგარიშო პერიოდში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა 36 საერთაშორისო პრეს-ტური, სადაც მონაწილეობა მიიღო 218-მა მედია წარმომადგენელმა და 3 გაცნობითი

ტური, 38 პირის მონაწილეობით. ამას გარდა, 2021 წელს, საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივ მედიაში სხვადასხვა მიმართულებისა და პროდუქტების პოპულარიზაციისა და შიდა ტურისტული ნაკადების სტიმლურების მიზნით, ჩატარდა 23 პრეს-ტური.

2021 წელს, სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში: ITB Berlin, IMTM - თელავივი, ATM Dubai, FITUR 2021 - მადრიდი, Bocus D'Or, Sirha - საფრანგეთი, WTM (Online) - ლონდონი, IBTM 2021 - ბარსელონა. ასევე, განხორციელდა ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პრეზენტაცია აბუ-დაბსა (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ბერნში (შვეიცარია) „FERNWEIN FESTIVAL"-ის ფარგლებში, გამართულ „საქართველოს ღვინის ფორუმზე".

ტურისტული პროდუქტის განვითარების მიმართულებით, 2021 წელს განხორციელდა:

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ, მესტიის მუნიციპალიტეტში, 6 ინდივიდუალური და 1 ქსელური ბილიკის მონიშვნისა (განხილული, როგორც 1 განხორციელებული პროექტი) და თანმდევი მცირე ინფრასტრუქტურის (საინფორმაციო დაფები, მიმართულების მანიშნებლები) სამონტაჟო სამუშაოები;
- სამცხე ჯავახეთში - სამთო საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა - 102 კმ ჯამში და 1 ღვინის გზა;
- გურიაში - 1 ბილიკი – 4 კმ;
- იმერეთში -2 ბილიკის მონიშვნა - 11 კმ და 1 ღვინის გზა;
- „ღვინის გზის" მორიგი განახლების ფარგლებში, მოხდა 35 ახალი ობიექტებისათვის საგზაო მანიშნებლების მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და შეთანმხება შესაბამის უწყებებთან ყველა რეგიონისთვის, გარდა გურიისა, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და მცხეთა მთიანეთისა.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა შემდეგი მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. ატენის საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მოწყობა - ატენის ხეობაში განხორციელდა საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის ფარგლებში მოეწყო დახურული ფანჩატურები, მაგიდა და სკამები, საცეცხლურები, ჰამაკის დასაკიდი ძელები, საქანელა.

2. ღვინის გზის ახალი ობიექტების მანიშნებლების მონტაჟი - ქვეყნის მასშტაბით, 48 ახალი ღვინის ტურიზმის მასპინძელი ობიექტისთვის, შპს „გზაჯვარედინმა" განახორციელა საგზაო მანიშნებლების მონტაჟი. სამუშაო დაყოფილი იყო ორ ეტაპად. პირველი ეტაპის ფარგლებში, მანიშნებლები დამონტაჟდა 28 ობიექტისათვის (ქვეყნის მასშტაბით, გარდა აჭარის რეგიონისა);

3. თბილისში არსებული ლაითბოქსების დასუფთავება და ტექნიკური უზრუნველყოფა - მომსახურება დაყოფილია 4 ეტაპად, რომელიც განახორციელა ელ. ტენდერში გამოვლენილმა კომპანიამ შპს „სოფთმასტერ"-მა.

მომსახურების ხარისხის განვითარების კუთხით, ქვეყნის მასშტაბით, ჩატარდა 6 ტრენინგი, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთათვის, შემდეგ თემატიკებში: "შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი ურთიერთობების პრევენციული

ღონისძიებები განთავსების ობიექტებისთვის COVID-19-ის პერიოდში“, "ინკლუზიური ტურიზმი COVID-19-ის პერიოდში", „სოფლის ტურიზმი და ტურისტული მომსახურების თავისებურებები სოფლად“, “ონლაინ გაყიდვების ტრენინგი“. ჯამში სულ გადამზადდა 1550-მდე ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანი.

მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტ "Check-in Georgia"-ს ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ღონისძიებები არ ჩატარებულა.

მყისიერი ინდიკატორების ცხრილი

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ტურისტული სექტორის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	რაოდენობა	1500	1550
ტურიზმის მარკეტინგული ღონისძიებების რაოდენობა	რაოდენობა	45	44
ახალი ტურისტული პროდუქტების რაოდენობა	რაოდენობა	3	3
მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	3	2

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.3.1. საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობები და პრეს და ინფო ტურები	24 05 02	4,000.00	1,986.26	49.66
2.3.2. რეკლამა და მარკეტინგული კამპანიები/აქტივობები	24 05 02	15,684.00	4,554.42	29.04
2.3.3. ტურისტული პროდუქტების განვითარება	24 05 02	350.00	80.66	23.05
2.3.4. მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა	24 05 02	1,250.00	236.36	18.91
2.3.5 ტურიზმის სფეროში ხარისხის განვითარება	24 05 02	400.00	100.73	25.18
2.3.6. პროექტი "Ckeck-in Georgia"	24 05 02	-	N/A	ღონისძიება წელს პანდემიის გამო არ განხორციელებულა

ღონისძიება 2.4. სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: სოფლის მეურნეობა

2021 წელს პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მეღვინეობის დარგზე, ვინაიდან ჩავარდა ტურისტული სეზონი, რასაც მოჰყვა მოხმარების შემცირება. თუმცა, ღვინის სააგენტო აგრძელებდა მუშაობას და ჩაატარა გარკვეული აქტივობები. 2021 წლის 10-12 თებერვალს ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე „VinExpo Paris“. ხოლო 2-3 მარტს - „Vinexpo New York“-ში. აგრეთვე, ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე გაიმართა 42 დეგუსტაცია/სემინარი, როგორც ონლაინ, ისე პირდაპირ ფორმატში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში 92,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 2019 წლის რაოდენობაზე მხოლოდ 1%-ით ნაკლებია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულებამ 216,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით ნაკლებია. მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 336 მლნ აშშ დოლარი, რაც 5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, 2021 წლის აპრილი-მაისის თვეში გაფორმდა ხელშეკრულებები 8 სადაზღვევო კომპანიასთან. პროგრამის მიმდინარეობა გაშუქდა სხვადასხვა ტელეარხზე. განხორციელდა სადაზღვევო პოლისების დოკუმენტური მონიტორინგი და გადაირიცხა სახელმწიფო სუბსიდია. მიმდინარეობდა კონსულტაციები სადაზღვევო კომპანიებთან და საერთაშორისო კონსულტანტებთან აგროდაზღვევის პროგრამაში შესაძლო ცვლილებებთან და ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასთან დაკავშირებით. 2021 წელს დაგეგმილი იყო დაახლოებით 21,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დაზღვევა. 01.01.2021-31.12.2021 საანგარიშო პერიოდში დაზღვეული ფართობის მოცულობამ 19,118.57 ჰა შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის მიზნით სულ გაიცა 19,478 პოლისი. დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 184,999,507 ლარი შეადგინა, ხოლო სააგენტოს მიერ გადახდილი/გადასახდელი სადაზღვევო პრემიის წილმა - 9,487,790 ლარი. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 8,000,000.00 ლარის ოდენობით. 01.01.2021-31.12.2021 საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 9,980,750.44 ლარი.

ცხრილი 2. აგროდაზღვევის პროგრამის 2021 წლის მონაცემები რეგიონების ჭრილში

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	დაზღვეული მოსავლის ფართობი (ჰა)	დაზღვეული მოსავლის ღირებულება (ლ)	სააგენტოს თანადაფინანსება (ლ)
აჭარა	766	610	199.44	1,750,592	175,114
გურია	51	47	23.48	124,817	8,395
იმერეთი	42	40	76.23	469,156	20,755
კახეთი	13,036	5,280	11,457.32	106,018,337	5,049,248
მცხეთა-მთიანეთი	19	17	15.85	71,164	3,551
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	25	23	4.70	24,259	1,029

სამეგრელო-ზემო სვანეთი	503	472	493.94	2,694,012	115,267
სამცხე-ჯავახეთი	865	264	1,033.72	10,202,875	599,449
ქვემო ქართლი	436	314	2,595.31	7,169,832	355,409
შიდა ქართლი	3,737	1,973	3,218.58	56,474,462	3,159,572
სულ	**19,478**	**9,030**	**19,118.57**	**184,999,507**	**9,487,790**

2021 წელს, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, მიღებულია შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოს შექმნით დაინტერესებული ბენეფიციარების განაცხადები, დოკუმენტები და ბიზნეს გეგმები. წლის განმავლობაში შემოსული განაცხადების საფუძველზე დაიწყო 63 ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოს თანადაფინანსება. ამასთან, დასრულდა 19 საწარმოს მშენებლობა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12,000,000.00 ლარის ოდენობით. 01.01.2021-31.12.2021 საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 12,325,735.67 ლარი.

ცხრილი 3. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის 2021 წლის მონაცემები, რეგიონების ჭრილში

კომპონენტი/რეგიონი	**ბენეფიციარების რაოდენობა**	**თანადაფინანსება (ლარი)**	**ჯამური ინვესტიცია (ლარი)**
გადამამუშავებელი	**12**	**5,041,030**	**17,415,110**
კახეთი	4	2,100,000	9,077,125
მცხეთა-მთიანეთი	4	1,424,851	3,656,962
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	3	1,116,179	3,472,515
ქვემო ქართლი	1	400,000	1,208,508
შემნახველი	**51**	**23,875,943**	**69,595,902**
გურია	1	391,832	979,580
იმერეთი	2	894,449	2,236,123
კახეთი	6	2,923,904	7,615,431
მცხეთა-მთიანეთი	2	987,530	2,647,025
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6	2,937,050	13,045,253
სამცხე-ჯავახეთი	1	500,000	1,028,871
ქვემო ქართლი	6	2,889,609	9,045,388
შიდა ქართლი	27	12,351,569	32,998,230
სულ	**63**	**28,916,973**	**87,011,012**

2021 წელს, ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის ფარლებში, მიმდინარეობდა ახალი ფერმერების/ფერმერული მეურნეობების დარეგისტრირება და 2018-2020 წლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების მონაცემების გადამოწმება,

რეგისტრაციისათვის საჭირო ელექტრონული სისტემის დახვეწა (მათ შორის 2019 წელს დანერგილი, კომპანია „აბაკოს“ „პროცესების და კონტროლის მართვის“ ელექტრონული მოდულის, რათა ეს სისტემა უფრო დინამიური და ინტერაქტიური გამხდარიყო). 2021 წელს, „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში დარეგისტრირდა 20,399 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. სულ „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ დაწყებიდან პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ 155,053 ერთეული შეადგინა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 300,000.00 ლარის ოდენობით. ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტს გავლენა არ მოუხდენია საბანკო ინსტიტუტების აქტიურობაზე. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 283,480.09 ლარი.

ცხრილი 4. „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი“- სფარგლებში 2021 წელს დარეგისტრირებული ფერმერის/ფერმერული მეურნეობების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	**ფერმერი/ფერმერული მეურნეობების რაოდენობა**
აფხაზეთი	17
აჭარა	1,078
გურია	972
თბილისი	2,895
იმერეთი	2,863
კახეთი	4,884
მცხეთა-მთიანეთი	857
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	337
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2,072
სამცხე-ჯავახეთი	928
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	2
ქვემო ქართლი	1,571
შიდა ქართლი	1,923
სულ	**20,399**

2021 წლის განმავლობაში, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, ხორციელდებოდა კონსულტაციები სესხის აღების შესაძლებლობებთან და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით. კონსულტაციები გაეწიათ როგორც პროექტის პოტენციურ და არსებულ ბენეფიციარებს, ასევე, საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს. კონსულტაციებში აქტიურად იყო ჩართული სააგენტოს საინფორმაციო სამსახური (ქოლ ცენტრი). გაკეთდა პრეზენტაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები. აგრეთვე, პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა ვიზიტები სხვადასხვა რეგიონებში და მომზადდა რეპორტაჟები ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გადაიარაღების/გაფართოების შესახებ. 2021 წელს პროექტში განხორციელდა რამოდენიმე ცვლილება, კერძოდ: პროექტს დაემატა ახალი მიზნობრიობა, როგორიც არის ენერგოეფექტური საწარმოების დაფინანსება და ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკის და იმპლემენტების დაფინანსება. ასევე, საბრუნავი საშუალებების კომპონენტში ამოქმედდა ყურძნის და ვაშლის შემსყიდველი საწარმოების

დაფინანსების ქვეკომპონენტები. ყურძნის შემსყიდველი საწარმოების ქვეკომპონენტში, გარდა ყურძნის შესყიდვის მიზნობრიობისა, დაემატა ბოთლის, საცობის, ჩაჩის და ყუთის შეძენის მიზნობრიობა. 2021 წელს დაგეგმილი იყო 12,200 შეღავათიანი სესხისთვის/ლიზინგისთვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (მომსახურეობა). ბენეფიციარებისთვის გაცემული სესხების რაოდენობამ კი სულ 4,863 ერთეული შეადგინა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 115,000,000.00 ლარის ოდენობით. 2021 წელს ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 136,197,456.18 ლარი.

ცხრილი 5. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის 2021 წლის მონაცემები რეგიონების ჭრილში

რეგიონი	**სესხების რაოდენობა**	**ბენეფიციარების რაოდენობა**	**ბანკების მიერ გაცემული სესხის ოდენობა, ₾.**	**სააგენტოს თანადაფინანსება (%-ის წილის დაფარვა), ₾.**
აჭარა	33	25	4,466,867	775,586
გურია	116	97	15,586,404	1,479,525
თბილისი	43	36	16,915,621	3,549,747
იმერეთი	247	235	22,650,191	3,537,069
კახეთი	2,452	2,268	199,764,870	40,783,293
მცხეთა-მთიანეთი	88	81	10,911,298	2,627,583
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	28	24	5,775,959	949,202
სამეგრელო-ზემო სვანეთი	325	291	44,626,260	6,163,397
სამცხე-ჯავახეთი	383	374	18,177,213	2,371,905
ქვემო ქართლი	391	364	42,785,333	8,652,818
შიდა ქართლი	757	653	67,405,525	9,176,034
სულ	**4,863**	**4,442**	**449,065,540**	**80,066,158**

2021 წლის განმავლობაში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ჩართულმა ბენეფიციარებმა საბანკო სექტორიდან მიიღეს 449,065,540 ლარის ოდენობის სესხი.

2021 წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით, მეფუტკრეობის მიმართულებით მოქმედ კოოპერატივების წარმომადგენლებთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები მიმდინარე პროგრამის პირობებთან და დარგში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. კოოპერატივების კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კოოპერატივების მიერ საკუთარი წესდებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა. 2021 წელს, დაგეგმილი იყო 5 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 6 ხელშეკრულება და სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 99,991 ლარი, ხოლო 5 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 150,000.00 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ კი 91,171.2 ლარი შეადგინა. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამას გავლენა არ მოუხდენია საბანკო ინსტიტუტების აქტიურობაზე.

ცხრილი 6. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის მონაცემები რეგიონების ჭრილში, 2021 წელს

რეგიონი	ხელშეკრულებების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	სააგენტოს თანადაფინანსება, ₾.	ინვესტიციის ჯამური მოცულობა, ₾.
კახეთი	1	1	22,312	27,890
რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთი	1	1	20,615	25,769
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	1	8,820	12,600
სამცხე-ჯავახეთი	3	3	48,244	60,305
სულ	**6**	**6**	**99,991**	**126,564**

2021 წელს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, მერძევეობის მიმართულებით მოქმედი კოოპერატივების წარმომადგენლებთან, გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები, მიმდინარე პროგრამის პირობებთან და დარგში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3,500,000.00 ლარის ოდენობით. წლის ბოლოს ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 2,693,452.31 ლარი.

ცხრილი 7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის მონაცემები რეგიონების ჭრილში, 2021 წელს

რეგიონი	ხელშეკრულებების რაოდენობა	ბენეფიციარების რაოდენობა	სააგენტოს თანადაფინანსება, ₾.	ინვესტიციის ჯამური მოცულობა, ₾.
რძე	**5**	**5**	**481,013**	**509,955**
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	2	2	94,933	103,555
სამცხე-ჯავახეთი	2	2	292,410	307,800
ქვემო ქართლი	1	1	93,670	98,600
სულ	**5**	**5**	**481,013**	**509,955**

მეღვინეობის განვითარების მხრივ, 2021 წელს, ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა უმთავრესად მიმართული იყო რთველის ორგანიზებულად ჩატარების სამზადისსა და წარმართვაზე. რთველის საკოორდინაციო შტაბი ქალაქ თელავში 20 აგვისტოს გაიხსნა. ყურძნის გადამუშავების პროცესში 250-მდე დიდი, მცირე და საშუალო ღვინის საწარმო იყო ჩართული, რამაც ყურძნის შეფერხებების გარეშე ჩაბარება უზრუნველყო. საქართველოში 250 ათასი ტონამდე ყურძენი გადამუშავდა, შედეგად კი 23 ათასამდე მევენახემ ყურძნის რეალიზაციით 270 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო. გადამუშავებული ყურძნიდან 145 ათას ტონამდე - რქაწითელია, 81 ათას ტონამდე - საფერავი, 4,5 ათას ტონამდე - კახური მწვანე, 1,7 ათასი ტონა - ალექსანდროულ-მუჯურეთული და სხვა ჯიშის. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წლის რთველის მხარდასაჭერად, სუბსიდირების პროგრამა ამოქმედდა. „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით, კახეთის

რეგიონში, სუბსიდია მიიღო მხოლოდ ღვინის იმ კომპანიამ, რომელმაც 2021 წლის რთველის განმავლობაში შეისყიდა და გადაამუშავა კახეთის რეგიონში მოწეული არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენი და შესყიდული 1 კგ ყურძნის სანაცვლოდ ყურძნის ჩამბარებელს გადაუხადა არანაკლებ 0,90 ლარი. კახეთის რეგიონში მოწეული 1 კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, ღვინის კომპანიებზე სუბსიდია გაიცემოდა: ა) 1 კგ რქაწითელისათვის - 0,35 ლარი; ბ) 1 კგ კახური მწვანისათვის - 0,35 ლარი. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც შეიძინა და გადაამუშავა „ხვანჭკარის“ მიკროზონაში მოწეული არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენი და 1 კგ ყურძენში მევენახეს არანაკლებ 7 ლარი გადაუხადა. სუბსიდიის თანხამ შეადგინა 3 ლარი 1 კგ როგორც ალექსანდროულის, ისე მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე. ეს იყო პირველი რთველი, როდესაც ფერმერები საწარმოებს ყურძენს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული მევენახეობის კადასტრის ამონაწერის საფუძველზე აბარებდნენ.

2021 წელს, რთველის დროს, სტიქიამ რამდენჯერმე დააზიანა მოსავალი. 26 აგვისტოს, ძლიერმა სეტყვამ და ქარმა, კახეთის რეგიონში, გურჯაანის, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში, 4600 ჰა ფართობის ვენახები დააზიანა. „მოსავლის მართვის კომპანიამ“ დასეტყვილი ყურძნის სასპირტედ მიღება-გადამუშავება სტიქიიდან მეორე დღესვე, 27 აგვისტოს დაიწყო. 2 სექტემბერს სეტყვა კვლავ განმეორდა ყვარელსა და თელავში, დაზიანდა 180 ჰა ფართობის ვენახები. 7 სექტემბრის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში, სეტყვით დაზიანებული 15 ათას ტონამდე ყურძენი სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ მიერ სრულად იყო დაბინავებული. დასეტყვილი ყურძნის რეალიზაციით მევენახეების შემოსავალმა 13 მლნ ლარს მიაღწია. სეტყვის შედეგად დაზიანებული ყურძენი მევენახეებმა 1 კგ რქაწითელი 0,80 ლარად და 1 კგ საფერავი - 1 ლარად ჩააბარეს. მთავრობის გადაწყვეტილებით, მევენახებმა, რომლებსაც სეტყვამ 100%-ით გაუნადგურა მოსავალი, ერთჯერადი კომპენსაციის სახით, თითოეულ 1 ჰექტარ ფართობზე 3000 ლარი მიიღეს.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის მიზნით, 2021 წელს სახელმწიფო ზედამხედველობა ჩატარდა 50 კომპანიაში, საიდანაც აღებული იყო 700-მდე ნიმუში. საინსპექციო კონტროლი განხორციელდა 41 კომპანიაში, აღებული იყო 116 ნიმუში, აქედან 3-ს ეთქვა უარი სერტიფიკატის გაცემაზე. საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების: „SGS“-ს და „Bureau Veritas”-ს მიერ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში განხორციელდა 166 საინსპექციო კონტროლი, აღებული იყო 324 ნიმუში, საიდანაც 20-ს გაუუქმდა სერტიფიკატი.

მყისიერი ინდიკატორების ცხრილი

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021 წელი	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროექტებში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა პროექტების/პროგრამების ჭრილში	რაოდენობა	N/A	13020
მხარდაჭერილი კოოპერატივების რაოდენობა	რაოდენობა	14	16

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.4.3. მეღვინეობის განვითარება	31 03 (გარდა 31 03 01, 31 03 04, 31 03 03, 31 03 06)	16,220.00	8,407.20	51.83

ღონისძიება 2.5. ექსპორტის ხელშეწყობა

2021 წელს, ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა ფარგლებში, მოხდა საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება. სააგენტომ საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე კომპანიებისთვის ჯამურად 2.6 მლნ ლარი დახარჯა. ღონისძიების გრძელვადიანი შედეგია ქართული კომპანიების მიერ უცხოურ პარტნიორებთან კონტაქტის დამყარება და ექსპორტის მოცულობის ზრდა. 2021 წელს, პროექტის "Impact Assessment Framework" ფარგლებში, რომლის მხარდამჭერია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), შემუშავებულ იქნა ექსპორტის დეპარტამენტის საქმიანობის შეფასების ინდიკატორები, მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში, რომ ზუსტად და ეფექტურად გაიზომოს სააგენტოს მიერ ინვესტირებული ფულადი და ადამიანური რესურსი მიღებულ უკუგებასთან მიმართებით. საანგარიშო პერიოდში, უცხოელი მყიდველების ქართველ მწარმოებლებთან დაკავშირების მიზნით, სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ კომპანიებსა და საერთაშორისო მყიდველებს შორის, 2021 წელს ჩატარდა 500-ზე მეტი B2B შეხვედრა. ექსპორტის ხელშეწყობის ფარგლებში, 2021 წელს, მსოფლიოში არსებული პანდემიის საპასუხოდ, სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში", ტრადიციული ფორმატის ღონისძიებებთან ერთად, მხარი დაუჭირა ქართული კომპანიების ონლაინ ღონისძიებებში მონაწილეობას, რაც ერთგვარი შემხვედრი ნაბიჯია COVID-19-ით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ 2021 წელს ორგანიზება გაუწია რეალურ საგამოფენო სივრცეში 4 საერთაშორისო ღონისძიებას, 1 ფიზიკურ და 4 ონლაინ შოურუმს, სადაც ჯამურად 45 კომპანია დაფინანსდა.

მსოფლიო პანდემიით შექმნილი ვითარების მიუხედავად, ღვინის ეროვნული სააგენტო, 2021 წელს, საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიცირების, ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, აქტიურ მარკეტინგული კამპანიას ახორციელებდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მხრივ, ღონისძიებები გაიმართა საქართველოშიც: „ახალი ღვინის ფესტივალი 2021", WinExpo Georgia 2021 და ქვევრის ღვინის და საფერავის მეორე საერთაშორისო კონკურსი. საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400 მლნ აშშ დოლარამდე შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. 2021 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 62 ქვეყანაში ექსპორტირებულია 107 მილიონი ბოთლი ღვინო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ექსპორტირებული ღვინით მიღებული შემოსავალი 250 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. 2021 წელს, როგორც ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა, ისე ექსპორტით მიღებული შემოსავალი, 2020 წელთან შედარებით, 16%- ით არის გაზრდილი.

2021 წელს ჩატარებული ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი მეტად ხელშემწყობი იყო ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის, რამდენადაც მათ მიერ ნომინირებულმა ექსპორტის მენეჯერებმა გაიარეს გადამზადება 14 მოდულში ამ თემაზე, დაამყარეს საჭირო კავშირები და მიიღეს უამრავი სასარგებლო ინფორმაცია. აღნიშნული კურსი არაერთი ახალი ბიზნესის დაწყების თუ არსებულის გაფართოების საფუძველი იყო.

სააგენტომ 2021 წელს 3-ჯერ განახორციელა ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსი, რომელსაც ჯამურად 75 პირი დაესწრო. პირველი ფიზიკურ ფორმატში ჩატარდა ქ. თბილისში და გადამზადდა 25 ექსპორტის მენეჯერი. კოვიდ-19-ით გამოწვეული შეზღუდვების გამო, სააგენტომ რიგით მე-2 და მე-3 სასერტიფიკატო კურსი განახორციელა ონლაინ ფორმატში, რომელსაც ჯამურად დაესწრო 50 პირი.

COVID -19-ის პანდემიის გამო, 2021 წელს, ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო 2 კურსი ჩატარდა ონლაინ და ერთი თბილისში. ჯამში ღონისძიებაზე დახარჯულმა ბიუჯეტმა შეადგინა საქართველოს მასშტაბით, შეადგინა 44 400 ლარი.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ექსპორტის ხელშეწყობისა და ექსპორტის განვითარების მხარდამჭერი აქტივობების ბენეფიციარი კომპანიების რაოდენობა	რაოდენობა	80	45
გადამზადებული ექსპორტის მენეჯერების რაოდენობა	რაოდენობა	70	75

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.5.2 საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების ორგანიზება	24 07 02	1,830.00	2,606.00	142.40
2.5.5. საზღვარგარეთ ქართული ვაზის და ღვინის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა	31 03 06 და 31 03 03	6,150.00	7,527.90	122.40
2.5.8. ექსპორტის მენეჯერთა სასერთიფიკატო კურსი	24 07 02	120.00	44.40	37.00

ღონისძიება 2.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

საანგარიშო წლის მანძილზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით პროექტ „აწარმოე საქართველოში“ ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის ფარგლებში ხელი შეეწყო 10 ახალი საწარმოს შექმნას, მათ შორის რეგიონებში 7 ახალ საწარმოს. აღნიშნული საწარმოები უზრუნველყოფს გადაცემული აქტივების

ოთხმაგი/ექვსმაგი ოდენობის ინვესტიციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ზრდას.

მხარდაჭერილი საწარმოები განლაგებულია:

- აჭარაში, ჯამური საინვესტიციო თანხით 6,195,784 ლარი, დასაქმდება 100 ადამიანი;
- იმერეთში, ჯამური საინვესტიციო თანხით 3,874,000 ლარი, დასაქმდება 120 ადამიანი;
- კახეთში, ჯამური საინვესტიციო თანხით 1,148,324 ლარი, დასაქმდება 40 ადამიანი;
- სამეგრელოში, ჯამური საინვესტიციო თანხით 1,958,800 ლარი, დასაქმდება 30 ადამიანი;
- ქვემო ქართლში, ჯამური საინვესტიციო თანხით 3,819,664 ლარი, დასაქმდება 15 ადამიანი.

2021 წლის განმავლობაში, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მხარდაჭერილ იქნა, თბილისისა და ბათუმის გარდა, 103 სასტუმრო, მიზნობრიობით გაფართოება და ახალი სესხი. ინდუსტრიული მიმართულების (სასტუმრო) პროექტების ფარგლებში, განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა აღემატება 300 მლნ. ლარს. პროგრამის მეშვეობით კომერციული ბანკების მიერ მოხდა 150 მლნ ლარზე მეტი კომერციული სესხის დამტკიცება. აღნიშნული ბენეფიციარები დამატებით შექმნიან 3 000-მდე მეტ ახალ სამუშაო ადგილს. პროგრამების ფარგლებში, დახმარება გაეწია საქართველოს ყველა რეგიონში არსებულ სასტუმროებს (ჯამურად - 13 200 000 ლ.), ყველაზე დიდი მოცულობით - კახეთს 3.1 მლნ ლარზე მეტი მოცულობით. 2021 წელს, რეგიონში არსებულ სასტუმრო პროექტებთან გაფორმებული 76 პროექტიდან 46 იყო ახალი, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული საწარმოები ამ ეტაპზე მშენებარეა. მათი ეკონომიკური აქტივობიდან სარგებელს სახელმწიფო 2023-2025 წლებში მიიღებს, საკრედიტო-საგარანტიო სქემის ბენეფიციარების შემთხვევაში - 2022-2023 წლებში. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროგრამების განხორციელებაზე ზეგავლენა გააჩნია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც განსაზღვრავს მომართვიანობის დონეს. 2022 წლიდან პროგრამის ფარგლებში აღარ მიიღება ახალი განაცხადები და პროგრამა ფაქტობრივად ჩანაცვლდა ბიზნეს უნივერსალით. აღნიშნული ასევე წარმოადგენს სესხის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებას, თუმცა ბენეფიციარებს აგრეთვე შეუძლიათ ისარგებლონ საგარანტიო სქემითა და გრანტით.

2021 წლის განმავლობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობისა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერის ფარგლებში, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს დახმარებით, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 3 საინვესტიციო პროექტი (2 თბილისში და 1 აჭარაში), ჯამში 4 მლნ ლარის მოცულობით. 2 პროექტის განხორციელება დაწყებულია თბილისში. ორივე პროექტი წამოადგენს ბიზნეს სერვისების ექსპორტს. ინვესტიციას ახორციელებს კომპანიები აშშ-დან და ხორვატიიდან. ერთი პროექტი კი დაწყებულია აჭარაში. აღნიშნული წარმოადგენს თუთუნის და თუთუნის მსგავსი პროდუქციის წარმოებას. ინვესტიციას ახორციელებს კომპანია ლიბანიდან.

ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს რთულ და გრძელვადიან პროცესს, რომელიც მოიცავს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილ აქტივობებსა და ამოცანებს, მათ შორის, სექტორული კვლევებისა და საინვესტიციო

პროექტების შექმნას, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას, წამყვან გამოცემებსა და უცხოურ ბიზნეს ასოციაციებთან თანამშრომლობას და ა.შ.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
„აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია" პროგრამის ფარგლებში წამოწყებული ახალი საინვესტიციო პროექტების რაოდენობა	რაოდენობა	5	1

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
2.6.2. თბილისისა და ბათუმის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში სასტუმროების ინდუსტრიაში ჩართული მეწარმეების მხარდაჭერა (ტექნიკური და ფინანსური დახმარება - ფრენჩაიზი/მენეჯმენტის კონტრაქტების თანადაფინანსება და საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების განვითარება, სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება)	24 07 02	1,500.00	13,200.00	880.00

პრიორიტეტი 3: ადამიანური კაპიტალის განვითარება

ღონისძიება 3.1. ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება

2021 წელს გატარებული ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შედეგად, განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა 2019 წ. პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის პროექტირებას, მშენებლობას და რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა როგორც ახალი საჯარო სკოლების მშენებლობას, ასევე არსებული საჯარო სკოლების სრულ რეაბილიტაციას. ქვეპროექტების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან. პროექტების ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში მოსწავლეებისთვის/მასწავლებლებისთვის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული და სასწავლო პირობების გაუმჯობესების მიზნით, აშენდა ახალი საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, რომელიც სრულად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის. ზემოხსენებულ პროექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა შეთანხმებული გეგმით. ამასთან, პროექტების განხორციელების დროს ადგილი ჰქონდა სამუშაოთა შესრულების ვადების შეცვლას პროექტში ცვლილებების, დამატებითი სამუშაოების და მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 67 ახალი საჯარო სკოლის პროექტირება-მშენებლობა და 83 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. 2021 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სრულად რეაბილიტირდა 4, რეაბილიტირდა 48 და აშენდა 9 საჯარო სკოლა, ასევე, აშენდა ინოვაციური ცენტრი ქალაქ ოზურგეთში; დაფინანსებულია 178 საჯარო სკოლა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. რეგიონების მიხედვით პროექტები შესრულდა შემდეგნაირად: გურია - 10 პროექტი; იმერეთი - 52 პროექტი; კახეთი - 16 პროექტი; მცხეთა-მთიანეთი - 24 პროექტი; რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი - 3 პროექტი; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 41 პროექტი; სამცხე - ჯავახეთი - 10 პროექტი; ქვემო ქართლი - 39 პროექტი; შიდა ქართლი - 29 პროექტი.

2021 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით მასწავლებლებისათვის უსაფრთხო პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარდა ვებინარების ციკლი, ონლაინ/დისტანციური ტრენინგები და სასწავლო კურსები. საანგარიშო წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ტრენინგების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შედეგად, სხვადასხვა საგნობრივი და შინაარსობრივი მიმართულებების 29 დასახელების სატრენინგო ონლაინ მოდული გაიარა 22 279 მასწავლებელმა. ონლაინ გადამზადება მიმდინარეობდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

2020-2021 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში განხორციელდა 19 საჯარო სკოლის 2 242 მოსწავლის ტრანსპორტირება თბილისის მასშტაბით, ასევე 5 სკოლის 308 შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) და სსსმ (სპეციალური საჭიროების სტატუსის მქონე), ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების ტრანსპორტირებით მომსახურება შესყიდვის მიზნით.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**2021**	
		სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**
რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა	რაოდენობა	111	80
საზაფხულო სკოლის პროგრამაში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა	რაოდენობა	1600	0
სასკოლო პროექტების რაოდენობა სხვადასხვა მიმართულებით	რაოდენობა	25000	22279

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
3.1.1. რეგიონებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ადაპტირებული ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესება	32 07 02 01; 32 07 02 05	23,696	23,696	100
3.1.3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	32 02 02;	141	141	100
3.1.5. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	32 03 11	20,100	10,960	54.53

ღონისძიება 3.5. შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაზრდა

2021 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაასრულა „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევა“, რომელიც განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით, სამაგიდე, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევა ფოკუსირებული იყო არსებული და მომავალი ხუთი წლის პერიოდში შემდეგი საკითხების შესწავლაზე:

ა. მოცემულ ორ სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა;

ბ. მომავალი ხუთი წლის პერიოდში დასაქმების ცვლილება;

გ. არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების საჭიროებები.

პირველ ეტაპზე, გაანალიზდა სტატისტიკური მონაცემები, ორივე სექტორთან მიმართებაში. მეორე ეტაპზე, მოეწყო შეხვედრები ფოკუს ჯგუფებში, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განხილული იყო მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, საჭირო უნარები, გამოყენებული ტექნოლოგიები და რაოდენობრივ კითხვართან დაკავშირებული საკითხები. ხოლო, მესამე ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით, ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, წინასწარ მომზადებული მეთოდოლოგიისა და კითხვარის მიხედვით. დამუშავდა რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, გაანალიზდა მიგნებები და მომზადდა ნარატიული ანგარიში.

2021 წლის 8 იანვარს საქართველოს მთავრობის #8 დადგენილებით დამტკიცდა ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება.

შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გატარდა მთელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებები: განხორციელდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება; შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე; საშუამავლო მომსახურების გაწევა/განვითარება; მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა; დასაქმების ფორუმების მოწყობა. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარების ფარგლებში, მიმდინარეობს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის www.worknet.gov.ge-დან სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და ანგარიშის დამუშავება. 2021 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 8 994 სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის: ქალი - 5154, შშმ პირი - 278.

ცხრილი 8. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2021 წელს

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	2099
აჭარა	501
გურია	250
იმერეთი	2076
კახეთი	719
სამეგრელო-ზემო სვანეთი	788
სამცხე-ჯავახეთი	583
ქვემო ქართლი	736
შიდა ქართლი	746
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	130
მცხეთა-მთიანეთი	325
სხვა (უმისამარო)	41
სულ	8994

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ სისტემაში დარეგისტრირებულია 350 009 სამუშაოს მაძიებელი. ასევე, 875-მა დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 11 414 თავისუფალი სამუშაო ადგილი.

„შრომის ბაზარზე ქცევის წესების“ გაცნობის მიზნით, სააგენტოს სერვის ცენტრებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური კონსულტირებები, მუნიციპალურ დონეზე. შედეგად, შემოსული ინფორმაციის მიხედვით, ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 2 584-მა სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის: ქალი - 1633, შშმ პირი - 198.

ცხრილი 9. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებში 2021 წელს კონსულტირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	771

აჭარა	85
გურია	136
იმერეთი	544
კახეთი	148
სამეგრელო-ზემო სვანეთი	263
სამცხე-ჯავახეთი	14
ქვემო ქართლი	238
შიდა ქართლი	344
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	21
მცხეთა-მთიანეთი	20
სულ	**2584**

კონსულტირებული პირებიდან 155 პირს (მათ შორის 103 ქალი) შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით უფიქსირდება ხელფასი იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან და რომელთა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის. რაც შეეხება ჯგუფურ კონსულტირებას, აღნიშნული აქტივობა დაგეგმილი იყო პირველი კვარტლის ბოლოს, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 მარტის №01-73/ო ბრძანების თანახმად, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო, გაუქმდა სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში დანიშნული ყველა მასობრივი და საჯარო ღონისძიება. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სააგენტომ დაიწყო დისტანციური კომუნიკაცია სამუშაოს მაძიებლებთან. სააგენტოს კონსულტანტებმა განახორციელეს სატელეფონო კონსულტირება იმ პირებთან, ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა სამსახური ან/და შემოსავალი და სახელმწიფოსგან იღებდა კომპენსაციას 200 ლარის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში. სატელეფონო კონსულტირების დროს, მათ მიიღეს შეთავაზება სააგენტოს მხრიდან დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. საერთო ჯამში, სააგენტოს კონსულტანტები დაუკავშირდნენ 10000-ზე მეტ პირს (ზოგ შემთხვევაში განხორციელდა განმეორებითი დაკავშირება), საიდანაც 1798-მა პირმა თანხმობა განაცხადა სააგენტოს სერვისების მიღებაზე და ისარგებლეს საკონსულტაციო მომსახურებით. პარალელურად, იმ პირებს, ვინც პანდემიის შედეგად დაკარგა სამსახური ან/და შემოსავალი და რომლებიც რეგისტრირებულები იყვნენ სამუშაოს მაძიებლად (საშუალოდ 39000-ზე მეტი პირი), ინფორმაცია ეგზავნებოდათ არსებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამების და დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ. მათი მონაცემების სსიპ შემოსავლების სამსახურთან შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2021 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით, დასაქმებული გახლდათ 9099 პირი, მათ შორის 966 პირი დასაქმებული იყო იმ დამსაქმებლებთან (მათ შორის 627 ქალი), რომლებიც თანამშრომლობენ სააგენტოსთან და რომელთა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის. საშუამავლო მომსახურების გაწევა/განვითარების მხრივ, დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 11 414 თავისუფალ სამუშაო ადგილზე, საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს, მათ შორის, ზემოთ აღნიშნულ 39 000-ზე მეტ პირს, რომლებიც იყვნენ დაქირავებით დასაქმებულები და პანდემიის შდეგად დაკარგეს სამსახური ან/და

შემოსავალი. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2 997 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 1467 ქალი.

ცხრილი 10. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2021 წელს

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	1195
აჭარა	145
გურია	85
იმერეთი	696
კახეთი	268
სამეგრელო-ზემო სვანეთი	97
სამცხე-ჯავახეთი	54
ქვემო ქართლი	145
შიდა ქართლი	247
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	24
მცხეთა-მთიანეთი	41
სულ	2997

საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დამსაქმებელთან გაგზავნილი ბენეფიციარების დასაქმების შესახებ მონაცემების დადგენის მიზნით, ინფორმაციის გამოთხოვა მიმდინარეობს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან. დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 785 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 400 ქალი. მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება-დანერგვის მიზნით, სააგენტოს მხარდაჭერით დასაქმების კონსულტანტებმა, საქართველოს მასშტაბით, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტირება გაუწიეს 220 შშმ პირს, მათ შორის, 95 ქალს.

ცხრილი 11. 2021 წელს კონსულტირებულ შშმპ ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	81
აჭარა	19
გურია	2
იმერეთი	65
კახეთი	24
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12
ქვემო ქართლი	9
შიდა ქართლი	8
სულ	220

დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 54 ვაკანსია. მიმდინარე წელს, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დასაქმდა 38 შშმ (მათ შორის 19 ქალი) პირი (ქ. თბილისში -17, აჭარაში - 5,იმერეთში - 8, კახეთში - 5, სამეგრელოში -1, შიდა ქართლში - 1 და ქვემო ქართლში - 1). ასევე, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 3 დამსაქმებელი და 8 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, 2 ქალი, 8 შშმ პირი (თბილისში - 6, შიდა ქართლში - 1 და კახეთში - 1). კომპონენტის ფარგლებში დასაქმებულია 5 შშმ პირი. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სააგენტომ დაიწყო როგორც ინდივიდუალური, ასევე

დისტანციური მომსახურებები. სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 1853 სამუშაოს მაძიებელს.

ცხრილი 12. 2021 წელს დასაქმებულ შშმპ ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში

რეგიონი	რაოდენობა
თბილისი	526
აჭარა	34
გურია	83
იმერეთი	397
კახეთი	160
სამეგრელო-ზემო სვანეთი	225
სამცხე-ჯავახეთი	8
ქვემო ქართლი	142
შიდა ქართლი	242
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	19
მცხეთა-მთიანეთი	17
სულ	1853

დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ, 2021 წელს, პროგრამის ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების სასწავლო პროგრამები განახორციელა შემდეგი მიმართულებებით: პერსონალური და სოციალური კომპეტენცია, ციფრული კომპეტენცია, სამეწარმეო კომპეტენცია და მულტილინგვურობის კომპეტენცია (გერმანული, ინგლისური, ფრანგული). აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იქნა ქვეყანაში არსებული ეპიდემოლოგიური სიტუაცია და კომპეტენციების ყველა მიმართულება წარიმართა დისტანციური სწავლების ფორმატში. საკვანძო კომპეტენციების განხორციელების პერიოდში, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა პარტნიორ ორგანიზაციებთან. აგრეთვე, დეტალური ინფორმაცია განთავსებულ იქნა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ა სტატია გამოქვეყნებული საინფორმაციო სააგენტოების ვებ-გვერდებზე. შესაბამისად, პერსონალური და სოციალური კომპეტენციის მიმართულებით ჩაერთო 169 ბენეფიციარი, ციფრული კომპეტენციის მიმართულებით ჩაერთო 208 ბენეფიციარი, სამეწარმეო კომპეტენციის მიმართულებით ჩაერთო 79 ბენეფიციარი, მულტილინგვურობის კომპეტენციის მიმართულებით ჩაერთო 271 ბენეფიციარი. რეგიონების მიხედვით, სულ საკვანძო კომპეტენციებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი - 117, შიდა ქართლი - 132, იმერეთი - 141, ქვემო ქართლი - 87, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 93, გურია - 81, კახეთი - 43 და აჭარა - 33 ბენეფიციარი. ჩართული 727 ბენეფიციარიდან შშმ პირის სტატუსის მქონეა - 44, იძულებით გადაადგილებული პირი - 77, სოციალურად დაუცველი - 222, ქალი - 605, ახალგაზრდა - 376. დღეის მდგომარეობით, კომპონენტის ფარგლებში, დასაქმებულია 70 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 61 ქალი). აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამა განხორციელდა ქალაქ თბილისსა და 8 მუნიციპალურ ერთეულში. ესენია: ზუგდიდი, თელავი, გურჯაანი, მარნეული, ოზურგეთი, რუსთავი, ქუთაისი და საჩხერე. პროგრამაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 2080 (მ. შ. 1312 - ქალი): თბილისის მასშტაბით - 1359, ხოლო დანარჩენ რეგიონში - 721. 2021 წლის ბოლოსთვის, სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 1512-მა სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის, თბილისში - 1025, რეგიონებში - 487 (იმერეთი - 148, კახეთი -54, სამეგრელო-ზემო

სვანეთი-178, ქვემო ქართლი - 107). აქედან, ქალი - 994, შშმ პირი - 29, დევნილი - 106, ახალგაზრდა - 578, სოც. დაუცველი - 295. 2020 წლის პროგრამის ფარგლებში კი, 2021 წელს კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 412 სამუშაოს მაძებელი, მათ შორის 311 ქალი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული 12 ორგანიზაციის სასწავლო პროგრამების გარკვეული რაოდენობა სრულდება 2022 წლის დასაწყისში, რის გამოც მსმენელთა გარკვეული რაოდენობა, კერძოდ, 459 ბენეფიციარი, სწავლას დაასრულებს 2022 წლის პირველ კვარტალში. მონიტორინგის შედეგად დასაქმდა 1373 სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის 1076 ქალი.

2021 წელს, პროგრამის ფარგლებში, კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების)-დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე/ადგილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/ სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით - კომპონენტში ჩაერთო 25 დამსაქმებელი (თბილისი - 5 დამსაქმებელი, რეგიონები - 20 დამსაქმებელი) და 147 სტაჟიორი (თბილისი - 27 სტაჟიორი, რეგიონები - 120 სტაჟიორი (აჭარა 1, გურია - 3, იმერეთი - 62, კახეთი - 12, შიდა ქართლი - 42). მათ შორის ქალი - 120, შშმ პირი - 3, დევნილი - 15, სოც. დაუცველი - 21. კომპონენტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 79 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის 61 ქალი).

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტაჟირების კომპონენტში ჩართულ 8 ორგანიზაციასთან სტაჟირების პროცესი სრულდება 2022 წლის დასაწყისში, რის გამოც სტაჟიორთა გარკვეული რაოდენობა, კერძოდ, 67 ბენეფიციარი სტაჟირების პროცესს დაასრულებს 2022 წლის პირველ კვარტალში. 2020 წელს, ნოემბრის თვეში, პროგრამის ფარგლებში სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 1 დამსაქმებელი და 19 სტაჟიორი. სტაჟირება დასრულდა 2021 წლის პირველ კვარტალში.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**2021**	
		სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**
ჩატარებულია ბიზნეს სექტორის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა	კვლევა განხორციელებულია	„ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევა“	დასრულდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევა“, რომელიც განხორციელდა სამაგიდე, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდა კვლევის მიგნებები და მომზადდა ნარატიული ანგარიში
სახელმწიფო დასაქმების პორტალი შექმნილია და ფუნქციონირებს შრომის	სისტემა შექმნილია	სისტემა შექმნილია	სისტემა შექმნილია

ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა worknet.gov.ge			
დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებები სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლებისთვის (წელიწადში მინიმუმ ერთხელ)	რაოდენობა	2	11

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2021 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**
3.5.1. შრომის ბაზრის ანალიზი, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება	24 01 05	104,430.00	104,430.00	100.00
3.5.2. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	35 05 02	700.00	744,451.94	106,350.28
3.5.3. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	35 05 04	2,090.00	1,930,889.58	92,387.06

ღონისძიება 3.6. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა

2021 წელს განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლებით უზრუნველყოფა, საბიუჯეტო ასიგნებების რაოდენობის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლება. განსახლების პროცესში ამავე ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმის შესაბამისად, პრიორიტეტი ენიჭება ნგრევად და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ობიექტებიდან (რაც დასტურდება შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნით) იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებას, ხოლო დადგენილი წესის შესაბამისად, განსახლების პროცესში, პრიორიტეტულია კრიტერიუმების შესაბამისად მინიჭებული ქულის ოდენობა. მონიტორინგის სამსახური ახორციელებს ყველა განაცხადის გადამოწმებას და მიღებული შედეგის კომისიაზე წარდგენას. საბოლოო გადაწყვეტილება დევნილი ოჯახის დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მიიღება კომისიის მიერ. 2021 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა 2019 წ. პერიოდში დაწყებული პროექტების

განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, კანალიზაციის, გზების, შენობების, და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ქვეპროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან. პროგრამის მიზანი იყო, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და გრძელვადიანი განსახლების მიზნით, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ქ. ქუთაისში ხუთი 16 სართულიანი სახლის მშენებლობა (800 ბინა). დასრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიშტიბში 6 სახლის მშენებლობა (420 ბინა) და ქ. ზუგდიდში 5 სახლის მშენებლობა (600 ბინა). კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვა მოხდა 1393 დევნილი ოჯახისათვის. საანგარიშო პერიოდში, ქ. ქუთაისის, წყალტუბოს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში ბინა გადაეცა 1020 ოჯახს, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ქვეპროგრამის ფარგლებში, დასახული საბოლოო შედეგების შესაბამისად.

მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობის ფარგლებში, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, დევნილთა პროფესიული განათლებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, ახორციელებდა ორ პროგრამას: „დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას", რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ დევნილ სტუდენტებს უნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები და „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამას", რომლის ფარგლებშიც პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულ დევნილებს თვითდასაქმების მიზნით გადაეცემათ სახელობო იარაღები. აღნიშნულ პროგრამებში ჩართულობის სამიზნე მაჩვენებელი წარმოადგენდა 385 დევნილს. 2021 წელს მითითებულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 353-მა დევნილმა. პროგრამების ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 1 100 000 ლარით, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გაიხარჯა 762 800 ლარი.

სააგენტოს პროგრამებში დევნილთა ჩართულობა დევნილთა რეგიონალური განსახლების პირდაპირ პროპორციულია. ძირითადი რეგიონები, სადაც დევნილ მოსახლეთა კონცენტრაცია მაღალია, შემდეგია: სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი. შესაბამისად, მომართვიანობის ძირითადი ნაწილი ხშირად სწორედ ამ რეგიონებიდან მოდის. სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების მიღების სუბსიდირება ხელსაყრელ პირობას ქმნის იმისთვის, რომ დევნილები აქტიურად დაინტერესდნენ მასში ჩართვით. ასევე, სააგენტოს პროგრამები მაქსიმალურადაა მორგებული დევნილთა საჭიროებებზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადი მიზეზი, რის გამოც დევნილები არ ერთვებოდნენ პროფესიული განათლების მიღების პროგრამაში, იყო მძიმე სოციალური ფონი, რაც მათი მხრიდან თუნდაც ყოველდღიური გადაადგილებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის არქონას გულისხმობდა. ამ მიზნით, დევნილებს სააგენტომ შესთავაზა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა, რის შემდეგადაც გაიზარდა მათი ჩართულობა ზოგადად პროფესიული განათლების პროგრამაში. სწავლის დასრულების შემდეგ სააგენტო ასევე ხელს უწყობს დევნილებს თვითდასაქმებაში. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ეს დევნილი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყაროა და ასევე ისინი ადგილობრივ თემში მომსახურების ერთადერთ

მიმწოდებლებად ითვლებიან (მაგალითად: მკერავი, ელექტრიკოსი, შემდუღებელი, ვეტერინარი და ა.შ.)

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტიქიით დაზარალებული(ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვა, საბიუჯეტო ასიგნებების რაოდენობის შესაბამისად. კერძოდ, ამ მიზნით გამოყოფილი იყო 7 000 000 ლარი, ხოლო თითოეული სახლის შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო 30000 ლარის ფარგლებში. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უნდა მომხდარიყო 233 სახლის შესყიდვა, რაც გადაჭარბებით შესრულდა - შესყიდულ იქნა 261 საცხოვრებელი სახლი, რაშიც გაიხარჯა 6 733 000 ლარი.

არსებული პროცედურის შესაბამისად, ჯერ ხდება ოჯახების შერჩევა კომისიური წესით, ამის შემდეგ ოჯახებს ეძლევათ ერთ თვიანი ვადა შესასყიდი საცხოვრებელი სახლის წარმოსადგენად, რის შემდეგაც ხდება ამ სახლების გადაგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სასაქონლო და საინჟინრო დასკვნის მომზადების მიზნით. აღნიშნული დასკვნის მომზადებას საშუალოდ 40 კალენდალური დღე სჭირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შედეგზე სწორედ ეს ფაქტორები ახდენს გავლენას.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი ფართი	რაოდენობა	1020	1020
იმ დევნილთა რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დევნილთა პროფესიული განათლების და თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამებში	რაოდენობა	385	353

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
3.6.1. დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება: დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით, ერთჯერადი ფულადი დახმარებით და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (დახმარება საცხოვრებელი ფართის დაქირავების მიზნით)	34 02	98,400.00	25,090.60	25.50

3.6.2. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა: დევნილთა პროფესიული განათლების, თვითდასაქმებისა და საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული სხვა ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა	34 03	127,500.00	762.90	0.60
3.6.4. ეროვნული უმცირესობების პროფესიული და სახელმწიფო ენის პროგრამით გადამზადება	32 03 03	2,600.00	2,910.00	112%
3.6.5. ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა.	34 02, 34 03	83,330.00	6,733.40	8.08
3.6.6. დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია.	34 01 03 02	650.00	650.00	100%

ღონისძიება 3.7. სოციალური ინკლუზია

სოციალური ინკლუზიის ფარგლებში შემავალი ერთ-ერთი კომპონენტია მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებები, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და მოიცავს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის მიზნობრივი დახმარებების გაცემას. კერძოდ, ამ პროგრამის ფარგლებში გაიცემა საარსებო შემწეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტი“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობები, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტები, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ასევე მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე ოჯახებისთვის (ოთხი და მეტი 18 წლამდე ბავშვი), რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 300 000-ზე გაიცემა ელექტროენერგიის ყოველთვიური შეღავათი 20 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო ბავშვზე - 10 ლარი. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 120 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახებისთვის, რომლებშიც 16 წლამდე ასაკის ბავშვები ცხოვრობენ, დამატებით გაიცემა ბავშვის ბენეფიტი, რომელიც 2021 წლიდან პრემიერ-მინისტრის ინიციატივით გაორმაგდა და 50 ლარის ნაცვლად შეადგინა 100 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020-2021 წლებში, გლობალური პანდემიით გამოწვეული ზიანის შემსუბუქების მიზნით, შეჩერდა მიზნობრივი დახმარებების ადმინისტრირების პროცედურები, მათ შორის, მოხდა შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტად გაგრძელება, მიუხედავად სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციებისა, რომლებიც საარსებო შემწეობის ან/და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტის ან ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, გაიზარდა მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა და მათი საარსებო შემწეობით უზრუნველყოფისათვის გადარიცხული თანხის მოცულობაც. სოციალური ინკლუზიის ღონისძიებების შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთათვის და მარჩენალდაკარგულთათვის განხორციელდა დადგენილი სოციალური პაკეტის გაცემა. ამასთან, გარდა აღნიშნულისა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფილია ყოველთვიური ფულადი დახმარებების გაცემა მესამე და მომდევნო ბავშვზე, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კლებაა და ყოველ ახალშობილზე, რომლის ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფარულია მოსახლეობის 35%-მდე, ხოლო მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამით (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების საარსებო შემწეობებით) მოსახლეობის დაფარვა უნდა ყოფილიყო ნაკლები (12% ფარგლები) მაგრამ, დაფარულია მოსახლეობის 17.2 %, რაც მიმდინარე ეტაპზე გლობალური პანდემიით გამოწვეული ზიანის შესამსუბუქებლად გატარებული ღონისძიებების შედეგია.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ყოველწლიურად ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება. პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში, მომსახურებას იღებს 18 000-მდე ბენეფიციარი. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება - 2018 წელს შეადგენდა 28 200 000 ლარს, 2021 წელს შეადგინა 40 000 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, გაიზარდა სხვადასხვა მომსახურებაში ჩართული ბენეფიციარებისათვის მომსახურების დაფინანსება. ამასთან, რიგი ქვეპროგრამების შესაბამისად, გაიზარდა პროგრამით განსაზღვრული ლიმიტების რაოდენობა (სათემო ორგანიზაციები, დღის ცენტრები), დაფინანსებული ვიზიტების, სეანსებისა და კურსების (ბავშვთა ადრეული განვითარების, რეაბილიტაცია/აბილიტაციის), ასევე, მობილური ჯგუფების (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის) რაოდენობა. შეიცვალა მექანიკური სავარძელ-ეტლების თანადაფინანების წესი. დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი - ყრუ და სმენისარმქონე შშმ პირთა ვიდეო კონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფა, საშუალო და მაღალი მორგების პედიატრიული ეტლები, ასევე, პედიატრიული სმენის აპარატი. კერძოდ:

- ✓ „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია ქვეპროგრამის“ ფარგლებში გაიზარდა დაფინანსებული კურსების რაოდენობა და წლის განმავლობაში 2000-მდე ბენეფიციარზე გათვლით - 16 000 კურსი;
- ✓ „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, 2021 წელს, გაიზარდა დაფინანსებული ვიზიტების რაოდენობა 20 500 ვიზიტამდე და მომსახურება მიიღო 2550-ზე მეტმა ბენეფიციარმა;
- ✓ ,,მინდობით აღზრდის ქვეპროგრამას“ დაემატა 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახური მზრუნველობის კომპონენტი, რომლის

მიზანია მზრუნველობამოკლებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მინდობით აღსაზრდელის სრულწლოვანების შესრულების შემდეგაც ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური ინტეგრაცია. აღნიშნული კომპონენტის დაფინანსება სპეციალიზებული მინდობითი აღზრდიდან განთავსებული ბენეფიციარის შემთხვევაში განისაზღვრა 300 ლარით, ხოლო ნათესაური მინდობით აღზრდიდან განთავსებული ბენეფიციარის შემთხვევაში - 100 ლარით;

- ✓ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსების ოდენობა გაიზარდა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისათვის შეადგინა დღეში 35 ლარი, ნაცვლად 30 ლარისა, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე ბავშვებისთვის – დღეში 25 ლარი, ნაცვლად 20 ლარისა;
- ✓ ,,სათემო ორგანიზაციებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურების მიმღებთა ლიმიტი გაიზარდა 438 ბენეფიციარამდე;
- ✓ „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ გაფართოების მიზნით, 2021 წლიდან დამატებით ფუნქციონირება დაიწყო დღის ცენტრმა და მობილურმა ჯგუფმა ქ. ბათუმში;
- ✓ „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, მულტიგუნდის შეფასების საფუძველზე, ინდივიდუალური მზრუნველის მომსახურების მიღება შეუძლია ქცევითი სირთულეების მქონე არასრულწლოვნებს. ინდივიადუალურ მზრუნველთან ერთად, ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემთხვევის მართვის მენეჯერისა და პროფესიული ზედამხედველის მომსახურებაც. ინდივიდუალური ზრუნვის განმახორციელებელი ერთი პირის ანაზღაურება შეადგენს სამუშაო დღეებში საათში 10 ლარს (არაუმეტეს დღეში 18 საათისა), ხოლო არასამუშაო დღეებში – საათში 12 ლარს (არაუმეტეს დღეში 18 საათისა), ხოლო შემთხვევის მართვის მენეჯერის მიერ შესრულებული სამუშაო, თვეში შეადგენს ოთხ საათს და ფინანსდება საათში 80 ლარით, კონსულტანტის მიერ განხორციელებული პროფესიული ზედამხედველობა კი შეადგენს თვეში ოთხ საათს და ფინანსდება საათში 100 ლარით;
- ✓ დეინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, 27-მდე გაიზარდა „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამაში“ ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა;
- ✓ 2021 წლიდან დაემატა „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერისა“ და „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამები, რომელთა მიზანია სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებებიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის ხელშეწყობა, შშმ ბავშვებისა და შშმ პირებისათვის განკუთვნილი მომსახურობების

მხარდაჭერა და გაძლიერება, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული, ალტერნატიული სერვისების განვითარება.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, პროგრამის ზოგიერთი ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებებს საშუალება აქვთ, საჭიროებების შესაბამისად, გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე და ბენეფიციარებს მომსახურება მიაწოდონ „დღის ცენტრის მომსახურების, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამებისა და კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის მოდიფიცირებული მომსახურებების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 1 მაისის №01-184/ო ბრძანების, „შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან/და ასეთი რისკის მქონე 18 წლამდე ბავშვებისთვის სოციალური რეაბილიტაციის მომსახურებების დისტანციურად მიწოდება-მიღების კონცეპტუალური ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 ნოემბრის №01-536/ო ბრძანების ან/და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**2021**	
		სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**
მიზნობრივი ჯგუფებისთვის გაწეული სოციალური დახმარების ოდენობა	ლარი	813,000,000	906,416,280

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	**საბიუჯეტო კოდი**	**2021 წელი**		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	**ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)**	**შესრულება (%)**
3.7.1. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება	35 02 02	771,100.00	906,416,279.80	117,548.47
3.7.2. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა	35 02 03	38,100.00	38,535,825.00	101,143.90

პრიორიტეტი 4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე

ღონისძიება 4.1. რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა: მცირე ზომის ტექნიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა-რეაბილიტაცია და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები) განხორციელება და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა. ასევე, სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, ქვეყანაში რეგიონული ტურიზმის განვითარება, დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი. ზემოხსენებულ პროექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა შეთანხმებული გეგმით. ამასთან, პროექტების განხორციელების დროს, ადგილი ჰქონდა სამუშაოთა შესრულების ვადების შეცვლას პროექტში ცვლილებების, დამატებითი სამუშაოების და მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო. პროექტების ნაწილი დასრულებულია და გაფორმებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე, ნაწილზე გავიდა დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, რაც უკვე გამოსწორებულია და გაკეთებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასრულდა ობიექტებზე ქვე-პროექტები, მათ შორის - 16 საბავშო ბაღის მშენებლობა. შედეგად, გაუმჯობესდა: წყალმომარაგების, კანალიზაციის, ხიდის, გზების და სხვა ინფრასტრუქტურა, რაც აისახა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებზეც.

საანგარიშო პერიოდში, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტის (LCIP) პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა 2021 წელს დაწყებული პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სპორტული კომპლექსების მშენებლობას. ქვეპროექტების დაფინანსება განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ: ქ. ქუთაისში ოლიმპიური საცურაო აუზის, ახალციხის სპორტული კომპლექსის, ზუგდიდის სპორტული კომპლექსისა და რუსთავის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. მშენებლობა 4-ვე ობიექტზე პროცესშია. შედეგად კი გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის პირობები, დასრულდება ქვე-პროექტები ობიექტებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, Design-Build მეთოდით, სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და გამოყენების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში, შეირჩა ურბანული განახლების პროექტები, კერძოდ: ისტორიული შენობები, სკვერები, ფასადები და მიმდებარე ტერიტორიები. საქართველოს მასშტაბით, სულ, შეირჩა და მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები 63 მუნიციპალიტეტში კონკრეტული ლოკაციებზე. აღნიშნული მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ქვეპროექტების დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტით. შედეგად, საქართველოს რეგიონებში უმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, რეაბილიტაცია უტარდება ისტორიული შენობების, სკვერების, ფასადების და

სხვა ინფრასტრუქტურას.პროექტების ფარგლებში განახლდა ურბანული ინფრასტრუქტურა და სხვა;

“ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #2684 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა განისაზღვრა 210 000 000 ლარის ოდენობით, რომელიც „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით გადანაწილდა მუნიციპალიტეტებზე. ზემოთ აღნიშნული თანხის შესაბამისად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა პროექტები, რომლებიც განხილულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომებზე და დასაფინანსებლად მომზადდა და დამტკიცდა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულება. ვინაიდან დადგენილი ლიმიტები ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სრულად იქნა ათვისებული და დამატებით, დაფინანსების მოთხოვნით იყო წარმოდგენილი პროექტები, მოხდა 120 000 000 ლარის დამატება და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და „რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის #884 განკარგულების თანახმად, თანხა განისაზღვრა 330 000 000 ლარით, რომელიც ასევე „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად გადანაწილდა სამინისტროში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროექტების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილმა თანხის ჯამურმა მაჩვენებელმა შეადგინა 330,000,000.00 ლარი, ხოლო ათვისებამ - 329,016,031.00 ლარი.

ცხრილი 13. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წლის განმავლობაში დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ძირითადი მიმართულებების მიხედვით

კატეგორია	პროექტების რაოდენობა	გაცემული თანხები	ათვისება
გზები	616	232,971,036.00	232,261,934.04
კანალიზაცია	2	1,232,619.00	1,232,619.00
კულტურული ინფრასტრუქტურა	11	4,274,170.00	4,243,879.00
მუნიციპალური ინფრასტრუქტურა	72	19,264,868.00	19,235,600.77

საბავშვო ბაღები	39	13,902,839.00	13,811,927.00
საგზაო ინფრასტრუქტურა	23	13,781,977.00	13,713,096.00
სკვერები	14	7,665,372.00	7,665,227.00
სპორტული ინფრასტრუქტურა	28	5,719,740.00	5,718,402.00
წყალმომარაგება	98	27,760,554.00	27,716,397.48
ხიდები	9	3,426,825.00	3,416,949.00
სულ	**912**	**330,000,000.00**	**329,016,031.29**

ცხრილი 14. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წლის განმავლობაში დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რეგიონულ ჭრილში

რეგიონი	**პროექტების რაოდენობა**	**გაცემული თანხები**	**ათვისება**
გურია	52	19,444,134.00	19,433,910.00
იმერეთი	263	73,476,000.00	73,419,356.47
კახეთი	161	49,719,606.00	49,260,933.30
მცხეთა-მთიანეთი	46	16,139,471.00	16,125,223.00
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	60	19,355,962.00	19,254,107.00
სამეგრელო-ზემო სვანეთი	142	55,294,386.00	55,204,765.00
სამცხე-ჯავახეთი	54	28,793,051.00	28,561,995.48
ქვემო ქართლი	70	39,063,827.00	38,978,367.00
შიდა ქართლი	64	28,713,563.00	28,777,374.04
სულ	**912**	**330,000,000.00**	**329,016,031.29**

რეგიონალური განვითარების პროექტის III ფაზის (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) ფარგლებში (WB), საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში ურბანული, კომუნალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაცია და კერძო სექტორის ხელშეწყობა. მოცემული რეგიონების ტურიზმთან და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული მომსახურების და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება. საანგარიშო პერიოდში, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, განხორციელდა მცხეთის, ბორჯომის კავალერიის, სტეფანწმინდის მუზეუმების რეაბილიტაცია, დუშეთის ურბანული განახლება, აბასთუმნის მწვანე და ლურჯი კორიდორის რეაბილიტაცია, ბაკურიანის სატრანსპორტო ჰაბის პროექტირება და მშენებლობა, აბასთუმნის ობსერვატორიისათვის ტელესკოპის შესყიდვა და ინსტალაცია, აბასთუმანის ისტორიული ხის სახლებისა და ბაკურიანის რეკრეაციული პარკის რეაბილიტაცია, , ზარზმის სამონასტრო კომპლექსზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, მდგრადი ვიზიტორთა ბილიკების და მთის ქოხების განვითარების და ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის დაცული ლანდშაფტების დაკავშირების მიზნით ერთიანი კონსერვაციის სტრატეგიის, პროექტირების და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურეობა, ასევე ქ. ქუთაისში, დავით კაკაბაძის სახელობის ხელოვნების გალერეის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისათვის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. მიმდინარე

სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოხდა: ხაშურის სტადიონისა და გარდაბნის 5 სოფლის წყალსადენის (ფაზა 2) რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში, საჩხერის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლების წყალმომარაგების ქსელის მოწყობის (5 სოფელში: პერევი, ჯრია, დარყა, ჭალა, სპეთი) პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა 2020 წ. პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელების გაგრძელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალსადენის აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ქვეპროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა EIB-ს (ევროპის საინვესტიციო ბანკი) სახსრებიდან.

პროექტების ფარგლებში ჩატარდა ქ. საჩხერის კონფლიქტისპირა სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა. პროგრამის განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდა: წყალმომარაგების სისტემები კონფლიქტისპირა 5 სოფელში (პერევი, ჯრია, დარყა, ჭალა, სპეტი), მოეწყო 88 534 გრძ/მ მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელები. სოფ. სპეთში და პერევში აშენდა წყლის სამარაგო რეზერვუარი, მოეწყო საქლორატორო სისტემები და დამხმარე ნაგებობები. სულ აშენდა 13 ერთეული წყალმიმღები კაპტაჟი. აღნიშნული პროექტი დასრულებულია და გაფორმებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. ამასთან, გავიდა დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, რაც ასევე გამოსწორებულია და გაკეთებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტი.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისა და განახლებადი-ალტერნატიული ენერგიის გამოყენების (E5P, NEFCO) პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა სსიპ - იუსტიციის სახლის, ოზურგეთის, თელავის და ახალციხის ფილიალების შენობებში ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერებისთვის პროექტის დიზაინის და მშენებლობის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მასშტაბით 26 საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაუმჯობესებას. პროექტების ფარგლებში განხორციელდა შენობების დათბუნება იზოლაციის სამუშაოები, მოეწყო და რეაბილიტირდა გათბობის სისტემები და რიგ შენობებში გაუმჯობესდა გათბობა/გაგრილების სისტემები. ქვე-პროექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა დაგეგმილი გრაფიკით. ამ ეტაპზე დასრულებულია სამუშაოები 28 (საჯარო სკოლა - 12; საბავშვო ბაღი - 6; ადმინისტრაციული შენობა - 10) შენობაზე:. მიმდინარე- სამშენებლო სამუშაოები ტარდებოდა: ახალციხის იუსტიციის სახლის შენობაზე, მიმდინარე საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა თელავის და ოზურგეთი იუსტიციის სახლების შენობებზე.

საანგარიშო პერიოდში, რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის -GURAD და EIB პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა 2018 წ. პერიოდში დაწყებული პროექტების განხორციელების გაგრძელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, კანალიზაციის, ხიდის, სპორტული კომპლექსის, გზების, შენობების, და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ქვეპროექტების დაფინანსება ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ. პროექტი ითვალისწინებდა; ლისი-მუხათწყაროს და ნაფეტვრები-ქვემო წყლულეთის დამაკავშირებელი გზის, ბროწეულას დასახლებაში საავტომობილო ხიდის და გზის, სოფელ ოყურეშის შიდა საუბნო გზის, ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზის

რეაბილიტაციას, ფოთის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის და საცურაო აუზის მშენებლობას. ქვე-პროექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა დაგეგმილი გრაფიკით. ამასთან, პროექტში ადგილი ჰქონდა საქმიანობების შესრულების ვადების შეცვლას კონტრაქტორი კომპანიების მიერ დამატებითი და გაუთვალისწინებელი სამუშაოების გამო. ამ ეტაპზე არ არის დასრულებული რიგი ქვეპროექტის ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები. GURAD: დასრულდა 5 ქვეპროექტი, მიმდინარე - 2 ქვეპროექტი, ზოგადად მომხმარებელთა რაოდენობა: 35 500, ხიდი - 3, გზები - 39,9 კმ, სპორტული კომპლექსი - 1, სანიაღვრე - 21,3 კმ, და სხვ. შედეგად გაუმჯობესდა წყალმომარაგების, კანალიზაციის, ხიდის, გზების და სხვა ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ობიექტებზე დასრულდა ქვე-პროექტები. მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, განხორციელდა გურჯაანის პარკისა და "თუთარჩელა"-ს მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია.

პროექტებზე საქმიანობები მიმდინარეობდა შეთანხმებული გეგმით. ამასთან, განხორციელების დროს ადგილი ჰქონდა სამუშაოთა შესრულების ვადების შეცვლას პროექტში ცვლილებების და დამატებითი სამუშაოების, ასევე ამინდის პირობების გაუარესების გამო.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
აშენებული და რეაბილიტირებული მცირე ინფრასტრუქტურის რაოდენობა	როადენობა	912	912
აშენებული და რეაბილიტირებული გზების სიგრძე	კმ	898	898
მაღალმთიან დასახლებებში აშენებული და რეაბილიტირებული საავტომობილო გზების სიგრძე	კმ	37.9	37.9

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
4.1.1. ადგილობრივი, ენდოგენური განვითარების წახალისება (ადგილობრივი კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდა), ადგილობრივი ტურიზმი, კულტურული და ბუნებრივი	25 03 01; 25 03 04; 25 03 05; 25 03 06; 25 03 07	206,918.00	134,686.00	65

მემკვიდრეობის შენარჩუნება და გამოყენება, ასევე სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურეობის ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის:				
4.1.1.1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დასაფინანსებული პროექტები	56 08	330,000,000.00	329,016,031.29	99.70
4.1.1.4 ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა	25 03 01; 25 03 04; 25 03 05; 25 03 06; 25 03 07	30,818.00	103,515.00	336

ღონისძიება 4.3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება

საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირების მიზნით, განისაზღვრა მთელი რიგი სოციალური შეღავათები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური შეღავათებით სარგებლობა ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში მითითებულ დასახლებებში.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სხვა შეღავათებთან ერთად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებებისთვის გათვალისწინებულია პენსიის/„სოციალური პაკეტის“ დანამატის მიღება პენსიის/სოციალური პაკეტის 20% ოდენობით; ამავე პროგრამის ფარგლებში გაიცემა დანამატები სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; ამასთან, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) ხორციელდება მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50% - ით (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან ამოქმედდა პენსიის ინდექსაციის წესი, რომლის თანახმადაც: ყოველწლიურად, 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის პენსია გაიზრდება ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერების შემთხვევაში ინფლაციას დაემატება რეალური ეკონომიკური ზრდის 80%. მიმდინარე წელს ასაკით პენსიის გაზრდილმა ოდენობამ 70 წლამდე მოსახლეობისათვის შეადგინა 260 ლარი, ხოლო 70 წელს ზემოთ ხანდაზმულთათვის - 300 ლარი. სახელმწიფო

პენსიის მატების პარალელურად, ავტომატურად გადაანგარიშდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერების/სოციალური პაკეტის მიმღები პირებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო გასაცემელი. შედეგად მიიღეს გაზრდილი დანამატი, სოციალური პაკეტის/სახელმწიფო პენსიის 20% ოდენობით. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფარგლებში, გაუმჯობესდა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, დანამატი მიიღო 78 500 - მდე პენსიონერმა, 15 ათასმა სოციალური პაკეტის მიმღებმა პირმა, 1600 -ზე მეტმა ექიმმა/ექთანმა. ელექტროენერგიის შეღავათი დაუფინასდა 85 ათასზე მეტ მაღალმთიან აბონენტს.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის ბუნებრივი გაზით უწყვეტი მომარაგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №335 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კონკრეტული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით პასუხისმგებელი სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, 2010 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მაცხოვრები აბონენტების (დაახლოებით 6000 აბონენტი) მიერ, იანვარი-მაისისა და ოქტომბერი-დეკემბრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ანაზღაურება. პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს, დაგეგმილი იყო მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულების ანაზღაურება 6000 აბონენტისთვის, რისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 8 მილიონი ლარი. აღნიშნული სრულად განხორციელდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა დაახლოებით 8 ათასი აბონენტის მიერ მოხმარებული 17727034 კუბ.მ. ბუნებრივი გაზის ღირებულება 10,091 მილიონი ლარის ოდენობით. პროგრამა ხორციელდება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. მისი განხორციელება დაგეგმილია შემდეგ წლებშიც, რაც, შესაბამისად, პოზიტიურად აისახება პროგრამის ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მყისიერი შედეგების მაჩვენებლები

მყისიერი შედეგების ინდიკატორი	საზომი ერთეული	2021	
		სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მაღალმთიან დასახლებებში აშენებული და რეაბილიტირებული საავტომობილო გზების სიგრძე	კმ	303	27
წყალმომარაგების სისტემებზე მიერთებული სასოფლო დასახლებების რაოდენობა	რაოდენობა	5	5

ფინანსური ინდიკატორების ცხრილი

პროგრამული ღონისძიების აქტივობა და ქვე-აქტივობა	საბიუჯეტო კოდი	2021 წელი		
		სამიზნე მაჩვენებელი (ათასი ლარი)	ფაქტობრივი შესრულება (ათასი ლარი)	შესრულება (%)
4.3.1. მაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	RDF, 25 03 10 MDF	70,000.00	105,723.00	151
4.3.4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	24 11	8,000.00	10,091.66	126.1

ნაწილი III: მიღწეული შედეგების ანალიზი

რგპ-ს განხორციელებისას მიღწეულმა მყისიერმა შედეგებმა ასახვა ჰპოვა გრძელვადიანი საბოლოო შედეგების სამიზნეები მიღწევაზე. სწორედ ეს საბოლოო შედეგები ახდენენ გავლენას რეგიონებში ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებაზე, მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესობაზე. ქვემოთ მოყვანილია ამ შედეგების დინამიკა პროგრამის განხორციელების პერიოდისთვის.

ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საბოლოო შედეგები:

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
შემცირებული საგზაო შემთხვევების რაოდენობა	საგზაო შემთხვევების რაოდენობა	1,278	1,100	1,028	1000	952	950	816	810	899

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურის შედეგად მგზავრთა უსაფრთხოება გაიზარდა, რაც გამოიხატა საგზაო შემთხვევების რაოდენობის თანმიმდევრულ შემცირებაში. ეს ტენდენცია 2021 წელსაც გაგრძელდა. შემთხვევების რაოდენობამ 899 შეადგინა, რაც ნაკლებია 2019 და 2020 წლების მაჩვენებლებთან შედარებით. საგზაო შემთხვევების რაოდენობა პროგრამის განხორციელების ბოლოსთვის 2017 წელთან შედარებით შემცირდა 30%-ით, ნაცვლად სამიზნე 37%-სა. აღნიშნული მიმართულებით საბოლოო შედეგის სამიზნე თითქმის მიღწეულია.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პოტენციური აბონენტების რაოდენობა, რომელთაც მიეცათ საშუალება, ჩაერთონ გაზმომარაგების ქსელში	რაოდენობა	260,800	15,542	15,542	14,894	10,199	45,612	36,693	27,560	13,881
ახალი/რეაბილიტირებული ჰიდროელექტრო სადგურების საშუალო წლიური გამომუშავება	მგვტ.სთ	87,08	23,590	44,649	117	57	NA	38	65.00	23.70

მიუხედავად პროგრამის ფარგლებში გაზმომარაგების პროგრამების ნაწილში გათვალისწინებული სახსრების ათვისების კარგი მაჩვენებლისა, საბოლოო შედეგის ინდიკატორის შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამიზნე მაჩვენებელს. ეს იმით შეიძლება იქნას ახსნილი, რომ 4 წლის განმავლობაში გაზმომარაგების სამუშაოების განხორციელება მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. შესაბამისად, შემდგომი პროგრამირების დროს, მსგავსი ფაქტორები გასათვალისწინებელია.

ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოების ღონისძიებების ფარლებში, გაუმჯობესდა მოსახლეობის ელეტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგება. 2021 წლის ბოლოსათვის, პროგრამის ფარგლებში, ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელზე წვდომა აქვს 466 771 აბონენტს (მათ შორის პოტენციური აბონენტი).

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მოსახლეობის წილი, რომელთაც სასმელი წყალი უწყვეტად მიეწოდება	%	N/A	N/A	48	N/A	66	N/A	66

საქართველოს რეგიონებში წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების შედეგების დადებითი ტენდენცია გაგრძელდა 2021 წელსაც და მოსახლეობის წილი, რომელსაც 24 საათიანი სასმელი წყლის მიწოდება აქვს, გაზრდილია 66%-მდე. წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებების შედეგად, გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებითა და მოდერნიზებული წყალარინების სისტემით უზრუნველყოფა. 2021 წელს დაკონტრაქტებული პროექტებიდან დასრულდა 6 პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო 7 კმ-მდე წყალმომარაგების და 1,5 კმ-მდე წყალარინების ქსელი, 4 ერთეული ჭაბურღილი, სატუმბი სადგური და ელექტროს სამუშაოები. საკანალიზაციო სისტემის მდგრადი მართვის პროექტის (SWMP) (SIDA) ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კონტრაქტორის მიერ, ორივე ობიექტზე მიმდინარეობს დეფექტების აღმოფხვრის დასრულება.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი) (ათ. ლარი)	2018		2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)	სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)	სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)	სამიზნე მაჩვენებელი (ათ. ლარი)	შედეგი (ათ. ლარი)
მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა	ათ. ლარი	10,230	N/A	20,332	N/A	24,37	N/A	665	491.0	3,099.0

2021 წელს გატარებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებათა შედეგად, მიუხედავად პანდემიის შეზღუდვებით გამოწვეული ვარდნისა, მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში წინა წელთან შედარებით, იმატა ვიზიტორთა რაოდენობამ და შემოსავლების მოცულობამ. აღნიშნული საბოლოო შედეგის ინდიკატორი გადაჭარბებით იქნა მიღწეული.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
ტურიზმისგან მიღებული	მლრდ აშშ დოლარი	2.8	3.1	3.2	3.4	3.3	3.2	0,5	3,588,869	1,244,942

უცხოური ვალუტა										
საერთაშორისო ტურისტების ვიზიტები	რაოდენობა	7,902,509	8,236,040	8,679,544	8,583,648	9,357,964	4,997,031	1,087,093	5,282,973	1,577,463

პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენა ტურიზმის სექტორს. 2021 წელს საქართველოში 1,5 მლნ-ზე ოდნავ მეტი უცხოელი ტურისტის ვიზიტი განხორციელდა, რაც დაახლოებით 1.5 - ჯერ მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით და 6-ჯერ ნაკლები 2019 წელთან შედარებით. ტურიზმიდან მიღებული უცხოური ვალუტის მაჩვენებელი თიქმის 3 - ჯერ ნაკლებია პანდემიამდელ სამიზნე მაჩვენებელზე. აღნიშნულმა ნეგატიური გავლენა იქონია ამ დარგში ყველა დასაქმებულისა თუ დამსაქმებელის შემოსავლების დონეზე. თუმცა შეზღუდვების შემცირება/გაუქმებასთან ერთად, დაიწყო აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა. პანდემიამდელ პერიოდში სამიზნე მაჩვენებელი უკვე მიღწეული იყო.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)**	**2018**		**2019**		**2020**		**2021**	
			სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**
კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობისთვის გაცემული სესხების მოცულობა	ათასი ლარი	310,347	N/A	282,379	N/A	357,026	N/A	503,569	N/A	449,066

2021 წლის განმავლობაში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ჩართულმა ბენეფიციარებმა საბანკო სექტორიდან მიიღეს 449,065,540 ლარის ოდენობის სესხი. 2021 წელს კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობამ გადააჭარბა წინა წლების მაჩვენებლებს, ხოლო საბაზისო მაჩვენებელს აღემატებოდა 1.5-ჯერ.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	**საზომი ერთეული**	**საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)**	**2018**		**2019**		**2020**		**2021**	
			სამიზნე მაჩვენებელი	**შედეგი**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**	**სამიზნე მაჩვენებელი**	**შედეგი**

საინვესტიციო პროექტების ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა	რაოდენობა	300	700	700	700	650	500	381	500	450
პროგრამის ფარგლებში მოზიდული ინვესტიციის მოცულობა	მლნ ლარი	180	120	103	160	79	10	7	10	4

2021 წელს, პროგრამის ფარგლებში მოზიდული ინვესტიციების მოცულობის კლების ტენდენცია გაგრძელდა, თუმცა სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით, 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, მაჩვენებელი გაზრდილი იყო ძირითადად, სასტუმრო სექტორში გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების რაოდენობის მზარდი მაჩვენებელი	რაოდენობა	11,541	N/A	7,616	N/A	7,699	N/A	7363	N/A	22,663

იმ პირთა დასაქმების ინდექსი, რომელთაც მიიღეს პროფესიული განათლება (თვით დასაქმების ინდექსი)	თვით დასაქმების ინდექსი	56.2% (მათ შორის 8% თვითდასაქმებული)	N/A	60% (მათ შორის 11% თვითდასაქმებული)	N/A	62% (მათ შორის 11 თვითდასაქმებული)	N/A	49% (მათ შორის 11% თვითდასაქმებული)	N/A	N/A

იმ პირთა დასაქმების ინდექსი, რომლებმაც მიიღეს პროფესიული განათლება, მიღწეულ იქნა ჯერ კიდევ 2018 წელს, თუმცა 2020 წელს, პანდემიის შედეგად, აღნიშნულმა მაჩვენებელმა საბაზისოზე ნაკლები რაოდენობა შეადგინა. მიზანშეწონილია აღნიშნული მიმართულებით ძალისხმების გაძლიერება.

საბოლოო შედეგის ინდიკატორი	საზომი ერთეული	საბაზისო მაჩვენებელი (2017 წელი)	2018		2019		2020		2021	
			სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი	სამიზნე მაჩვენებელი	შედეგი
მცირე და საშუალო ბიზნესების და სხვა ეკონომიკური სუბიექტების/ინიციატივების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით	რაოდენობა	N/A	807	633	N/A	695	N/A	1059	N/A	N/A

როგორც უკვე აღინიშნა, პანდემიის მიუხედავად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდებოდა მუნიციპალიტეტებშიც. 2021 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ათვისებულმა თანხამ 360 მლნ ლარი შეადგინა, რაც უფრო მეტი იყო 2019 და 2020 წლების მაჩვენებელთან შედარებით, როგორც

აბსოლუტური მაჩვენებლით, ასევე პროცენტულად. 2019 წელს ათვისებამ 72% შეადგინა, 2020-ში - 92%, ხოლო 2021-ში 99,5% შეადგინა. გაზრდილი დაფინანსების ფონზე მცირე და საშუალო ბიზნესებისა და ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობდნენ ახალი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით, ასევე გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

ნაწილი IV: ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სფეროში, ისევე, როგორც წინა წლებში, კვლავ აქტუალური რჩება მოძველებული „სამშენებლო ნორმების და წესების" განახლების საკითხი. საქართველოში მოქმედი, მრავალსახოვანი ინსტრუქციები და დამატებები მოძველდა და საჭიროა მათი განახლება, მაგრამ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის პირდაპირი გადმოტანა და გამოყენება არაა მიზანშეწონილი. საჭიროა მომავალში მოხდეს ძველი და თანამედროვე სტანდარტების ერთობლივი ჰარმონიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ, მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან დაახლოება. აღნიშნული მოთხოვნა არის ასევე დონორი ორგანიზაციების მხრიდანაც.

ბუნებრივი კატასტროფებისგან დამცავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოების ეფექტურ წარმართვაზე გავლენა მოახდინა პროფესიონალი შრომითი და ფინანსური რესურსების უკმარისობამ, გეოლოგიური თვალსაზრისით უკიდურესად დაძაბულ უბნებზე თანამედროვე მონიტორინგის აღჭურვილობის არასაკმარისმა რაოდენობამ. შესაბამისად, საჭიროა ფინანსური რესურსების მობილიზება/მოძიება, დაფინანსების შემდგომი გაზრდა, კადრების გადამზადება და/ან კვალიფიციური პროფესიონალების მოზიდვა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

2021 წელს **წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზაცია- განვითარების** მხრივ, ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო კოვიდ-პანდემია, რამაც გავლენა იქონია სამუშაოების წარმოებასა და პროექტების დასრულების ვადებზე. სამუშაოების მიმდინარეობისას გამოკვეთილი ხარვეზების გამოსწორება ასევე მოითხოვს გარკვეულ დროს, ხშირ შემთხვევაში საჭიროა პროექტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე. იმის გათვალისწინებით, რომ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები შედარებით კომპლექსური პროექტებია, რომელიც მრავალ ელემენტს მოიცავს, საჭიროა კონკრეტული სტრატეგიული მიმართულების შემუშავება/განახლება. საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო მოქმედი სტანდარტები. მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული კვალიფიციური კადრების მოზიდვა და დამატებით ახალი საკადრო ბაზის შექმნა, ამ მიმართულების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება/განახლება.

მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად უნდა მოხდეს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მონიტორინგის პროცედურების დანერგვა (კანონმდებლობის საფუძველზე) და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი მონიტორინგის ლაბორატორიის შექმნა. ეს ხელს შეუწყობს კომპანიის სტრატეგიით გათვალიწინებული

პრიორიტეტების შესრულებას, კომპანიის იურისდიქციაში არსებული 54 ნაგავსაყრელის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ოპერირებასა და დახურვის შემდგომი მონიტორინგის განხორციელებას, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და საერთაშორისო დონორებთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით საჭიროა საინვესტიციო პროექტების წახალისება და მათი განხორციელების სტიმულირებისთვის რეგიონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნული მოიაზრებს გზების გარემონტებას, კომუნიკაციების მიყვანას პოტენციური საწარმოს ადგილამდე (გაზი, დენი, წყალი), ამას გარდა, სერვისების მიმწოდებელი კომპანიების შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია სწრაფი ინტერნეტისა და საოფისე ფართების არსებობა. მსგავსი ინფრასტრუქტურის არარსებობა/სიმწირე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისთვის.

მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფისათვის უპრიანი იქნება პროექტების დაფინანსების ჭერის“ (მაქსიმალური თანხის) გაზრდა და ამასთან ერთად, ხარისხის მოთხოვნების სტანდარტების ამაღლება.

საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მხრივ, სირთულეებს წარმოქმნის როგორც პანდემიური ვითარება, ისე არასაკმარისი ინტერესი რეგიონებში და მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა სააგენტოს სერვისებისა და ბენეფიტების შესახებ. საქართველოს მასშტაბით ასევე დეფიციტია იმ კადრების, რომლებსაც შეუძლიათ STEAM მიმართულებით ტრენინგების ჩატარება და აქტივობების განხორციელება. შესაბამისად, გამოწვევაა რეგიონული ინოვაციების ჰაბების და ცენტრების მენეჯერების შერჩევაც, ქვეყანაში კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ კოვიდით გამოწვეული შეზღუდვებისა და სხვა ფაქტორების გამო, ვიზიტორთა რაოდენობამ რეგიონული ინოვაციების ჰაბებსა და ცენტრებში იკლო. ამასთან, მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, სამგზავრო გრანტების მიმართულება შეჩერებული იყო. და ბოლოს, GENIE-პროექტი (რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აღნიშნული ჰაბების და ცენტრების გახსნა, აღჭურვა და შენახვა) სრულდება.

შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგების სააგენტომ აქტიურად უნდა გააგრძელოს ღია კარის დღეების, ინფო ტურების და მსგავსი ქმედითი ღონისძიებების ჩატარება, რომ გაიზარდოს მის სერვისებზე ცნობადობა და ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით - რეგიონებში. განათლების სისტემაში საჭიროა ტექნოლოგიური მიმართულებების აქტიური დანერგვა, მეტი ინტერესი და ჩართულობა ახალგაზრდებისგან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისგან, საერთო მიზნის განსახორციელებლად, მეტი ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება რეგიონებში, რათა სამომავლოდ, უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაეროს სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროგრამებში. ამასთან, საჭიროა განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, განხორციელდეს ელექტრონიკის და პროგრამირების მიმართულებით ტრენერების/მასწავლებლების მაშტაბური გადამზადება . ასევე, მიზანშეწონილია აქტიური მუშაობა დონორებთან, ინოვაციური ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად.

2021 წელს პანდემიამ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მოუტანა. თუმცა, მეტწილად ზარალი სწორედ **ტურიზმის** ინდუსტრიას მიადგა. კოვიდ პანდემიამ ხელი შეუშალა სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელებას, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ტურისტული სექტორის გაძლიერებაზე. მსოფლიოში შექმნილი

მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტ "Check-in Georgia"-ს ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ღონისძიებები არ ჩატარებულა.

მიმდინარე კრიზისის დასაძლევად, მნიშვნელოვანია კრიზისის მენეჯმენტისა და სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტიანად წარმართვა, მომავალში მოსალოდნელი სხვადასხვა სცენარის საპასუხოდ. სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ეფექტურად უნდა განახორციელოს ტურიზმის აღდგენის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები, როგორიცაა: მარკეტინგული აქტივობები საერთაშორისო პლატფორმებზე, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, შიდა ტურიზმის სტიმულირება, ინფო ტურებისა და პრეს-ტურების განხორციელების გზით, COVID-19-ის რეგულაციებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთათვის, ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია და აშ. გარდა ამისა, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გადასახედია „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ და დასაწყებია კრიზისიდან გამოსვლის გეგმის ეფექტური განხორციელება.

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებებზე გავლენა იქონია ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ და მისგან გამოწვეულმა შეზღუდვებმა. საწარმოთა შექმნის რისკს წარმოადგენდა ქვეყანაში და მსოფლიოში შექმნილი კოვიდპანდემია, ისე, როგორც სავალუტო კურსის მერყეობა, ვინაიდან ოპერაციები ხორციელდება სხვადასხვა ვალუტაში (ლარში, აშშ დოლარში ევროში). დანადგარების იმპორტისას გართულდა მოლაპარაკებების წარმოება და იმპორტის ოპერაციების განხორციელება. შეზღუდვების გათვალისწინებით შეფერხდა სამშენებლო პროცესები. ასევე, შემაფერხებელი ფაქტორია კლიმატური პირობებიც, რადგან პროექტები ხორციელდება რეგიონებში და სამშენებლო სამუშაოები შემოდგომის მიწურულიდან შუა გაზაფხულამდე ზოგიერთ რეგიონში ფაქტობრივად ჩერდება. ამ ხელისშემშლელი ფაქტორების შესამცირებლად, შესაბამისად, საჭიროა დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კონსულტაცია-კომუნიკაცია, რაც უზრუნველყოფს პროექტების დროულ და შეუფერხებელ განხორციელებას.

ექსპორტის ხელშეწყობის მხრივ, მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება პანდემია და COVID-19-ის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები. პროექტების დადგენილ ვადებში განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი ზოგადად და მასთან დაკავშირებული შიდა და გარე დაბრკოლებები, რამაც გამოიწვია შედეგის გადავადება. ქართულ საწარმოებში გამოწვევად რჩება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების ფლობა, სამიზნე ბაზრებზე მორგებული ბრენდინგი და მარკეტინგული კამპანიები, გაყიდვების არხები, პროდუქტის რაოდენობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება არასაკმარისი ან/და მოძველებული მანქანა-დანადგარების გამო, ლოჯისტიკა და საქონლის გადაზიდვის მაღალი ფასი, არასაკმარისი ცნობადობა და სხვა არაერთი ფაქტორი, რომლითაც განისაზღვრება ქვეყნის და საექსპორტო პროდუქტის კონკურენტული უპირატესობა. სხვა რისკს წარმოადგენს არასაკმარისი მომართვიანობა კომპანიების მხრიდან ცალკეული ღონისძიების ჭრილში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს პოსტ-პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური არასტაბილურობით.

ექსპორტის ხელშეწყობაზე პოზიტიური გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს და გაერთიანებებს შორის გაფორმებულმა სავაჭრო შეთანხმებებმა. კერძოდ, განსაკუთრებით მნიშნველოვანია ევროკავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან გაფორმებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, რაც ხშირად

განაპირობებს ამ ქვეყნებში დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენებში/შოურუმებში მონაწილე კომპანიების მაღალ აქტივობას. შესაბამისად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი შეთანხმებები მასტიმულირებელი ხასიათისაა.

საინვესტიციო პროექტების წახალისებისა და მათი განხორციელების ხელშეწყობისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს რეგიონებში გაუმართავი ინფრასტრუქტურის არსებობა. პრობლემის გადაჭრის მიზნით, სასურველია სამრეწველო ზონების გამოყოფა, აღნიშნულ ადგილებამდე გზების და კომუნიკაციების მიყვანა (გაზი, დენი, წყალი). ასევე, ახალი და ძალიან მზარდი სექტორია ბიზნეს სერვისების აუთსორსინგი. აღნიშნულ სექტორში მოღვაწე კომპანიებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სწრაფი ინტერნეტისა და საოფისე ფართების არსებობა. რეგიონებში მსგავსი ინფრასტრუქტურის არარსებობა/სიმწირე ქმნის სერიოზულ ბარიერს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს აგრეთვე ისეთი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის დეფიციტი, რომელსაც შეუძლია ავტომატიზირებულ საწარმოში თანამედროვე დანადგარებზე მუშაობა და/ან უცხო ენაზე საუბარი. ამასთან, უცხო ენების ცოდნა არის ფაქტიურად მთავარი ფაქტორი, თუ რატომ შეიძლება ბიზნეს სერვისების აუთსორსინგის სფეროში მოღვაწე კომპანიამ განახორციელოს ინვესტიცია. შესაბამისად, სასურველია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ისეთი პროგრამების დანერგვა/წახალისება, რომლებიც მიმართული იქნება უცხო ენების სწავლების ხელშეწყობისკენ/დაფინანსებისკენ.

ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადების გაუმჯობესებისთვის, სასურველია, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთათვის, სასწავლო პროცესის პარალელურად, განხორციელდეს ინტეგრირების ხელშემწყობი სხვადასხვა აქტივობები (სტაჟირებები, ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები და სხვა).

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების მართვის, განხორციელებისა და პროგრამირების გაუმჯობესებისათვის მონიტორინგის სისტემის განვითარება.

მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობის მხრივ, სააგენტოს „დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე დევნილები უარს ამბობენ დახმარებაზე, ვინაიდან ტრანსპორტირების თანხის ანაზღაურება ხდება მათ საბანკო ანგარიშზე ფულის დარიცხვით, რაც რისკის ქვეშ აყენებს მათთვის სოციალურად დაუცველისათვის განკუთვნილი ბენეფიტების მიღებას. „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისას, ხშირია იმ დევნილების მომართვიანობა, რომლებსაც პროფესიული მიმართულებით აქვთ დაწყებული საქმიანობა, გააჩნიათ იურიდიული სტატუსი და ითხოვენ პროგრამის შესაბამისად სახელობო იარაღების შეძენას, მათი საქმიანობის გაუმჯობესება/გაფართოებისთვის, თუმცა, სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საშუალება არ აქვს მოახდინოს სამეწარმეო მიზნით გრანტის გაცემა.

შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, სააგენტომ საჭიროა, კვლავ განაგრძოს პროგრამების არსებულ გარემოსთან ადაპტირება, აქტიურად ჩაატაროს დევნილთა საჭიროებების კვლევები, ითანამშრომლოს სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აღნიშნული მიმართულებით.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების ფარგლებში, მნიშვნელოვანია, საჭიროების მქონე შესაბამის კატეგორიას მიკუთვნებული ყველა პირი დროულად იღებდეს ამა თუ იმ ტიპის სოციალურ დახმარებას. გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად, აუცილებელია, შენარჩუნდეს დახმარებების დროულად გაცემის მაჩვენებლის მდგრადობა მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებებში შემავალი სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში, ამასთან, გაგრძელდეს მუშაობა, რათა გაუმჯობესდეს ადმინისტრირების პროცესი და შემოღებულ იქნას ისეთი მექანიზმები, რომლებიც მიმართული იქნება მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, პროგრამის მიზნის შესაბამისად.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ყოველწლიურად იზრდება ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. ქვეპროგრამებში მომსახურების მიმღებთა რაოდენობის ზრდის შემაფერხებელ/რისკ ფაქტორს წარმოადგენდა მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების ნაკლებობა ან მომსახურების ლიმიტი, ასევე, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა.

გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად აუცილებელია, შენარჩუნდეს/გაიზარდოს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება.

ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიების განვითარების მხრივ, ახალი ინვესტორის შერჩევის ღონისძიებებმა ხანგრძლივი დრო წაიღო. ახალი ინვესტორის მოსაძიებლად, პირობების განახლებისა და ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონსულტანტების ჩართულობა, რათა სატენდერო პირობების შედგენა მოხდეს მაღალი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და აღნიშნული პირობები საინტერესო და მისაღები იყოს შესაბამისი პოტენციური ინვესტორებისთვის. აგრეთვე, მნიშვნელოვანია მოლაპარაკებების პროცესი სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის, რომლის შედეგებზეც არის დამოკიდებული ხელშეკრულების გაფორმება და პროექტის განხორციელება. ამ მიმართულებით აღსანიშნავია 2021 წელს MTBS-თან განხორციელებული თანამშრომლობა. ახალი ინვესტორის მოძიების პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება საჯარო-კერძო პარტნიორობის ოპტიმალური მოდელის შეთავაზებას.